იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია
2016–2021

I. შესავალი
II. რეგიონის ზოგადი დახასიათება
III. რეგიონის სოციალური განვითარება
IV. რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა
V. საბაზისო ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურებები
VI. გარემოს დაცვა
VII. ხელისუფლება
VIII. რეგიონის ფაქტობრივი ანალიზი (SWOT)
IX. იმერეთის რეგიონის განვითარების ხედვა, პრიორიტეტული მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

I. შესავალი

იმერეთის რეგიონის განვითარების 2016-2021 წლების სტრატეგია (შემდგომში - სტრატეგია) შემუშავდა ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მოქმედ სახელმწიფო რწმუნებულთან – გუბერნატორთან (შემდგომში - სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი) არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ, სადაც წარმოდგენილნი იყვნენ იმერეთის რეგიონში შემავალი ყველა მუნიციპალიტეტის მერი/გამგებელი/საკრებულოს თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე. აგრეთვე, იმერეთის რეგიონის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა მიიღეს ექსპერტებმა, სამოქალაქო სექტორისა და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებმა.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. ინფორმაცია სტრატეგიის შემუშავების შესახებ და მისი სამუშაო ვერსიები განთავსებული იყო სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს თავისი მოსაზრების დაფიქსირების საშუალება ჰქონდა. ასევე, სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა იმერეთის რეგიონში მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას სტრატეგიის შემუშავების პროცესში კონსულტაციებს უწევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტები.

სტრატეგია მომზადდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №936 განკარგულებით დამტკიცებული რეგიონის განვითარების სტრატეგიის შემუშავების სახელმძღვანელოში მოცემული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტრატეგია შესაბამისობაშია „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიასთან და „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №1215 განკარგულებით დამტკიცებულ 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან. სტრატეგიაში ასახულია იმერეთის რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სტრატეგიის მიზნები, ამოცანები და იმერეთის რეგიონის განვითარების ხედვა. სტრატეგიის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორებს შორის პარტნიორობა, სახელმწიფო ორგანოებს და მუნიციპალიტეტების ორგანოებს შორის თანამშრომლობა და მოსახლეობის ჩართულობა.

II. რეგიონის ზოგადი დახასიათება

იმერეთის რეგიონი საქართველოს ცენტრალური ნაწილია. იგი დასავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. რეგიონის ტერიტორიის ფართობი 6518,8 კვ.მ–ია და საქართველოს ტერიტორიის 9,4%-ს შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით კი, რეგიონს პირველი ადგილი უჭირავს, მისი მოსახლეობა 2014 წლისთვის 703,3 ათას კაცს შეადგენდა, რაც საქართველოს მოსახლეობის 15,7%-ია.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში საჩხერის მუნიციპალიტეტის 3 სოფელი - ჯრია, პერევი და ჭურნალი წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს.

რელიეფური მრავალფეროვნების გამო, რეგიონი პირობითად იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად, რომელიც აერთიანებს 12 მუნიციპალიტეტს: ქალაქ ქუთაისს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, ხარაგაულის, ხონის, წყალტუბოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებს. რეგიონში შედის 11 ქალაქი (ქუთაისი, ბაღდათი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, სამტრედია, საჩხერე, ტყიბული, ხონი, წყალტუბო და ჭიათურა), 3 დაბა (ხარაგაული, შორაპანი და კულაში) და 545 სოფელი. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი არის ქალაქი ქუთაისი, რომელიც ამავე დროს საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფელია.



იმერეთის რეგიონი, ძირითადად, მდებარეობს ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქში. აღსანიშნავია, რომ რეგიონის დაბალმთიან და საშუალომთიან ზონებში ზღვის გავლენა შესუსტებულია, მაგრამ დამახასიათებელია ნოტიო კლიმატი. აქ ზამთარი ცივია, ზაფხული კი შედარებით მშრალი და ცხელი. იანვრის თვის

ტემპერატურა საშუალოდ +2^{0}C, +5^{0}C-ია, ხოლო ზაფხულში მაქსიმალური ტემპერატურა +38^{0}C, +40^{0}C. ნალექების რაოდენობა 1300-1800 მმ-ია. ნალექიან დღეთა რიცხვი საშუალოდ წელიწადში 150-ს შეადგენს. რეგიონი ფლორითა და ფაუნით მდიდარია. მის ტერიტორიაზე ტყის მასივებს 250 000 ჰა უჭირავს, რომელიც ძირითადად მთაგორიან ლანდშაფტზეა განფენილი. მაქსიმალური სიმაღლე ზღვის დონიდან 2850 მეტრია.

რეგიონი მდებარეობს სატრანსპორტო მაგისტრალის გასწვრივ და საზღვაო პორტებთან ახლოს (ბათუმი - 130 კმ., ფოთი - 102 კმ.). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან 15 კმ-ში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი.

რეგიონი გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით. ამჟამად, იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული.

იმერეთის რეგიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად. ასევე, იმერეთის რეგიონს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი ტურიზმის, დაცული ტერიტორიების, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებისათვის.

III. რეგიონის სოციალური განვითარება

მოსახლეობა, ცხოვრების დონე და სოციალური უზრუნველყოფა

იმერეთის მოსახლეობა 67,8 ათასი კაცით (9%) შემცირდა მოსახლეობის ბოლო ორ აღწერას (1989-2002 წ.წ.) შორის. რეგიონში მოსახლეობის შემცირების ტენდენცია გაგრძელდა 2008 წლისთვისაც. იმერეთის მოსახლეობა 13,3 ათასით გაიზარდა 2008 წლიდან 2012 წლამდე, თუმცა 2014 წლისთვის მოსახლეობა კვლავ შემცირდა 4,5 ათასით. 2014 წლისთვის იმერეთის მოსახლეობის 48% ცხოვრობდა ქალაქად, 52%-სოფლად.



წყარო: საქსტატი

რეგიონის მოსახლეობის 28% ქ. ქუთაისში ცხოვრობს. 173 600 ადამიანი (25%) ცხოვრობს რეგიონის მთიან ნაწილში. ბოლო 12 წლის განმავლობაში მოსახლეობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც მცირდება რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, ქალაქ ქუთაისისა და საჩხერის მუნიციპალიტეტების გარდა.

რეგიონის მოსახლეობის დინამიკა მუნიციპალიტეტების მიხედვით (ათასი კაცი)

მუნიციპალიტეტები	2002	2006	2008	2012	2013	2014
ქ. ქუთაისი	186,0	190,1	188,6	196,8	196,5	197,0
ბაღდათი	29,2	29,0	28,6	28,8	28,6	28,5
ვანი	34,5	34,2	33,7	33,8	33,6	33,5
ზესტაფონი	76,2	75,6	75,2	75,7	75,3	75,2
თერჯოლა	45,5	45,3	44,8	45,1	44,8	44,7
სამტრედია	60,5	60,4	59,9	60,8	60,3	60,1
საჩხერე	46,8	46,4	46,6	48,1	48,0	48,1
ტყიბული	31,2	30,6	30,2	30,1	29,8	29,5
წყალტუბო	73,9	73,9	73,2	74,1	73,6	73,5
ჭიათურა	56,3	55,6	55,0	55,3	54,9	54,9
ხარაგაული	27,9	27,6	27,4	27,4	27,2	27,1
ხონი	31,7	31,4	31,0	31,5	31,3	31,2
სულ	**699,7**	**700,1**	**694,2**	**707,5**	**703,9**	**703,3**

წყარო: საქსტატი

სტატისტიკური ინოფრმაციის არარსებობის გამო, რთულია რეგიონში არსებული სამუშაო ძალის რაოდენობაზე ლაპარაკი, მაგრამ სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთის ჩათვლით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა) 2006 წელს 394.9 ათასიდან, 2013 წლისთვის 387.7 ათასამდე შემცირდა. ამავე პერიოდში, იგივე ტერიტორიაზე შემცირებულია სამუშო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობაც 191.7 ათასიდან 167.0 ათასამდე. რეგიონში სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა მოსახლეობის 11%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ქორწინებათა რაოდენობა რეგიონის სოფლებსა და ქალაქებში დიდად არ განსხვავდება, 2011-2013 წლებში სოფლად უარყოფითი ბუნებრივი მატება აღინიშნა. ბოლო 10 წელია ქორწინებასთან ერთად რეგიონში იზრდება განქორწინებების რაოდენობაც. 2002 წლიდან 2013 წლამდე ეს უკანასკნელი 5-ჯერ და მეტად არის მომატებული. განქორწინებათა რაოდენობა მეტია ქალაქის კატეგორიის დასახლებებში.

რეგიონის ზოგიერთი ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებელი (კაცი)

მაჩვენებელი	**2002**	**2004**	**2006**	**2008**	**2010**	**2011**	**2013**
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	8980	9756	7797	7659	8726	9015	8691
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	6809	7717	7131	8397	10041	8835	8496
ქორწინებათა რიცხოვნობა	1967	2683	3355	5243	5362	5058	5155
განქორწინებათა რიცხოვნობა	210	229	258	365	580	825	1175

წყარო: საქსტატი

ბოლო წლებში, რეგიონიდან შრომითი მიგრაცია დამახასიათებელია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, იტალია და ნაწილობრივ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი ქვეყნები. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, მიგრაცია მნიშვნელოვნად მოქმედებს იმერეთის რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე.

რეგიონში მაღალია თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 63-65%-ს შეადგენს. ეს განპირობებულია საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სექტორის მაღალი ხვედრითი წილით. რეგიონში უმუშევრობის დონე სხვა რეგიონებთან შედარებით 2013 წელს 9,3 % იყო.



წყარო: საქსტატი

შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე 2011–2013 წლებში 190,2 ლარიდან 229,9 ლარამდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი სოფლად უფრო მცირეა, ვიდრე ქალაქის ტიპის დასახლებებში.

რეგიონში, 2014 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 278 934 პირი (95 078 ოჯახი), ხოლო მათგან ფულადი სოციალური დახმარების - საარსებო შემწობის მიმღებია 76 628 პირი (26 792 ოჯახი).

რეგიონში ირიცხება 27374 იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი (10 950 ოჯახი), რაც მოსახლეობის 1,5%–ს შეადგენს. აღნიშნული პირები რეგიონში ჩასახლებულნი არიან როგორც კომპაქტურად, ასევე - ინდივიდუალურად.

იმერეთის რეგიონში მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისთვის – მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, მოხუცებისა და შშმ პირებისთვის მოქმედებს სხვადასხვა ტიპის სოციალური სახლები. რეგიონი ნაკლებად არის უზრუნველყოფილი შშმ პირებისათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურით, არ ხდება შესაბამისი სამშენებლო სტანდარტების დაცვა, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სათანადო ინტეგრირებას.

რეგიონში არსებობს სოციალურად დაუცველთათვის თავშესაფრების პრობლემა მაშინ, როცა იმერეთის რეგიონის თორმეტივე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია ასეთი 1574 ოჯახი. მათი უმეტესობა (927 ოჯახი) რეგისტრირებულია ქ. ქუთაისში. მოქალაქეები დაზარალებულნი არიან სხვადასხვა მიზეზით: სტიქიური უბედურება (მეწყერი, ქარი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, მიწისძვრა, ხანძარი), საცხოვრებელი შენობა–ნაგებობის სიძველე, ოჯახური კონფლიქტები, იპოთეკით დაზარალებულები, ოჯახები, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ საცხოვრებელი ფართი და სხვა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრში არსებობს ძევრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატი, ხოლო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში არსებობს ქუთაისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი), დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, ბავშვთა დღის ცენტრი და კრიზისული სადღეღამისო ცენტრი, აგრეთვე, მცირე საოჯახო ტიპის სახლები: ქალაქ ქუთაისში (4 (ოთხი) სახლი), ქალაქ ხონში, ქალაქ საჩხერეში და ქალაქ წყალტუბოში და დღის ცენტრები: ქალაქ ქუთაისში (6 (ექვსი) დღის ცენტრი), ქალაქ თერჯოლაში (2 (ორი) დღის ცენტრი), ქალაქ სამტრედიაში, ქალაქ საჩხერესა და ქალაქ ჭიათურაში.

ჯანმრთელობის დაცვა

2014 წელს იმერეთის რეგიონში ფუნქციონირებდა 30 საავადმყოფო, რომლებიც აღჭურვილი იყო 1806 საწოლით (სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემები). საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი შეადგენს 336.8-ს 100 000 მოსახლეზე და ოდნავ აღემატებოდა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (313.3). იმერეთის რეგიონში დასაქმებული იყო 2628 ექიმი და 2218 სამედიცინო პერსონალი.

იმერეთის რეგიონში არსებული კლინიკების მეხუთედი არის სახელმწიფო საკუთრებაში. რეგიონში, ასევე, მოქმედებს 25 პოლიკლინიკა და 211 სოფლის ექიმი (მეწარმე), 4 ამბულატორია, 5 ქალთა კონსულტაციის ცენტრი და 89 სტომატოლოგიური კაბინეტი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების ავტოპარკის დიდი ნაწილი განახლდა 2014-2015 წლებში (სულ 36 მანქანა: ბაღდათი - 2, ვანი - 2, ზესტაფონი - 3, თერჯოლა - 2, სამტრედია - 3, საჩხერე - 3, ტყიბული - 2, ქუთაისი - 9, წყალტუბო - 3, ჭიათურა - 3, ხარაგაული - 2, ხონი - 2) და ამჟამადაც, ეტაპობრივად მიმდინარეობს მისი განახლება; ასევე, მიმდინარეობს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრების შენობების რემონტისა და კეთილმოწყობის სამუშაოები.

რეგიონის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე, სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია. აქტუალურია სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა. თუმცა, 2013 წლიდან ამოქმედებულმა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა ნაწილობრივ, რიგ შემთხვევებში კი მთლიანად, უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსებას.

რეგიონში არსებული საავადმყოფოები მდებარეობს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში და ზამთრის პერიოდში, ცუდი კლიმატური პირობების

გამო, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობას სამედიცინო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება, თუმცა, სოფლის ექიმის, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სხვა სახელმწიფო პროგრამების დახმარებით ხორციელდება მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ ჭიათურის მუნიციპალიტეტში მანგანუმის მადნის კონცენტრანტის მოპოვებისა და გადამუშავებისას, ხოლო ტყიბულის მუნიციპალიტეტში ქვანახშირის გამამდიდრებელ ქარხანაში ქვანახშირის გადამუშავების დროს, ხშირია მეშახტეთა—დაშავების (სხვადასხვა ტრავმების, დამწვრობების) შემთხვევები. შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სერვისის (Emergency) მიმწოდებელი ცენტრი - შპს „მედჰაუსი“ და შპს „ჯეო-ჰოსპიტალსის“ ჭიათურის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი, რომელიც სხვა სამედიცინო სერვისებთან ერთად ახორციელებს გადაუდებელი დახმარების სერვისს. აღნიშნული სერვისი სხვადასხვა მდგომარეობების მართვასთან ერთად, ითვალისწინებს პირველად სამედიცინო დახმარებას ტრავმებისა და დამწვრობის დროს. ამასთან, „სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია რეფერალური დახმარების განხორციელება, კერძოდ, კრიტიკული და გადაუდებელი მდგომარეობების მართვა ადგილზე რეფერალური ბრიგადის მიერ კონსულტაციის გაწევის ან გართულებული შემთხვევების დროს პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტირების გზით.

რაც შეეხება ტრავმატოლოგიური და კომბუსტიოლოგიური სერვისის განხორციელებას, მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული სერვისის მიწოდება სტაციონარულ დაწესებულებაში ხორციელდება სტაციონარის სანებართვო დანართის „ქირურგიული პროფილის საქმიანობა“ ფარგლებში.

კერძო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა რეგიონში ძალზე მცირეა.

განათლება

იმერეთი საქართველოს რეგიონებს შორის საგანმანათლებლო ტრადიციებით გამოირჩევა. დღეს იმერეთის 2 წამყვან უმაღლეს სასწავლებელში 10 862 სტუდენტი სწავლობს.

რეგიონის უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 80 წლისაა. უნივერსიტეტი 180-ზე მეტ სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს, მათ შორის, ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. სტუდენტთა რაოდენობა 10 213 –ია, აქედან 137 უცხოელია, რომელთა უმეტესობა მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს. უცხოელი სტუდენტები ძირითადად სომხეთიდან, ერაყიდან, პოლონეთიდან და ნიგერიიდან არიან.

შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი 1991 წელს დაფუძნდა. 2014 წლის მდგომარეობით, მასში 649 სტუდენტი ეუფლება განათლებას.

იმერეთის ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება 2014 წელს მოხვდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხუთეულში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო გაცვლითი პროექტების Erasmus + მიხედვით (წყარო: erasmusplus.org.ge). ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია

გასაკეთებელი იმისთვის, რომ იმერეთის რეგიონის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მოხვდნენ საქართველოში მოთხოვნად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

რეგიონში, ასევე, ფუნქციონირებს სასულიერო სასწავლებლები 663 სტუდენტით, კერძოდ, გელათის სასულიერო აკადემია, 1 სასულიერო სემინარია და 3 სასულიერო სასწავლებელი.

ქ. ქუთაისში არსებულ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში განათლების მიღება შეუძლიათ ეთნიკურ უმცირესობებსა და საქართველოს მასშტაბით საჯარო მოსამსახურეებს.

იმერეთში მოქმედებს 10 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მათგან მხოლოდ ერთია სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. კოლეჯის სასწავლო ბაზები ფუნქციონირებს ქუთაისსა და ბაღდათში. ბოლო წლებში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები და კოლეჯის სასწავლო კორპუსები აღიჭურვა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, მსურველებისთვის სრული სახელმწიფო დაფინანსებით შეთავაზებულია 25-მდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სასტუმრო-სარესტორნო მომსახურების, ტრანსპორტის მომსახურების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა მიმართულებებით. მიმდინარეობს კოლეჯის სტუდენტური საცხოვრებლის რეაბილიტაციის პროცესი, რომლის დასრულების შემდეგ, რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩასულ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სწავლის პერიოდში კეთილმოწყობილ სტუდენტურ საცხოვრებელში განთავსდნენ.

2016 წლის მონაცემებით რეგიონში ფუნქციონირებს 371 საჯარო და 28 კერძო სკოლა. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მიღებული ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, საჯარო სკოლებში დასაქმებულია 9431 მასწავლებელი და სწავლობს 67937 მოსწავლე, ხოლო კერძო სკოლებში დასაქმებულია 924 მასწავლებელი და სწავლობს 5534 მოსწავლე. 2016 წლის მარტის მონაცემებით იმერეთის რეგიონის 298 საჯარო სკოლაში 691 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არის ჩართული. ასევე იმერეთის რეგიონში ფუნქციონირებს სამი სკოლა-პანსიონი - ქ. ჭიათურის №12-ე სკოლა-პანსიონი მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, ქ. ქუთაისის №45-ე სკოლა-პანსიონი სმენის არმქონე მოსწავლეებისთვის და ქ. სამტრედიის №15-ე სკოლა-პანსიონი ქცევითი და ემოციური აშლილობის მქონე მოსწავლეებისთვის.

რეგიონში მოქმედი საჯარო სკოლებიდან აღსანიშნავია ქალაქ ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა, რომლის მოსწავლეებიც წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო ოლიმპიადებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წარმატება 2013 წლის იანვარში ჟაუტიკოვის სახელობის საერთაშორისო ოლიმპიადებზე, სადაც აღნიშნულმა სკოლამ 56 სკოლას შორის 5 - 8 ადგილებიი და საპატიო პრიზი დაიმსახურა.

რეგიონის სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში გადასაადგილებლად ემსახურებათ სასკოლო ავტობუსები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში.

უკანასკნელ წლებში რეგიონის თითქმის ყველა საჯარო სკოლაში განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგალითისთვის, 2014 წელს იმერეთში 78

სკოლის რეაბილიტაცია მოხდა, 2015 წელს განხორციელდა 121 სკოლის რეაბილიტაცია და დამთავრდა 1 სკოლის მშენებლობა, ხოლო 2016 წელს იგეგმება 90 სკოლის რეაბილიტაცია. სკოლების დიდი ნაწილი აღიჭურვა კომპიუტერული ტექნიკით და ჩართულია ინტერნეტის ქსელში. თუმცა, სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავაც არადამაკმაყოფილებელია.

რეგიონში ასევე მოქმედებს 213 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც დასაქმებულია 705 პედაგოგი და სწავლობს 11766 ბავშვი, შენობების უმეტესობა არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, 2014 წელს 10–მდე ახალი ბაღი აშენდა და მომავალი წლისათვის ახალი ბაღების მშენებლობა კვლავ პრიორიტეტად რჩება.

კულტურა

იმერეთი გამორჩეულია მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძეგლებით, რომელიც მთელს მხარეში 250-ზე მეტია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, UNESCO-ის მიერ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში შეტანილი ბაგრატის ტაძარი (ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი) და გელათის სამონასტრო კომპლექსი, ასევე, უბისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი და სამონასტრო კომპლექსი, მოწამეთას სამონასტრო ანსამბლი და კაცხის სვეტი. ეს ძეგლები პოპულარულია იმერეთის რეგიონში მოგზაურებისთვის - როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოელ ტურისტთა შორის.

რეგიონში ფუნქციონირებს 27 მუზეუმი, რომელთა დამთვალიერებლების რიცხვი დღითიდღე იზრდება. მათი რაოდენობა 2013-2014 წლებში ორჯერ გაიზარდა და 58,5 ათასი შეადგინა. რეგიონში არსებული სახლ-მუზეუმების უმრავლესობა მუნიციპალიტეტების ბალანსზეა და საჭიროებს რეაბილიტაციას.

იმერეთის რეგიონი მდიდარია თეატრებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც როგორც პროფესიული თეატრი 130 წელს ითვლის. კერძოდ, 1885 წელს კოტე მესხის ხელმძღვანელობით შეიქმნა ქუთაისის პირველი პროფესიული დასი, მანამდე კი 1861 წელს შეიქმნა პირველი სამყვარულო დასი. სულ რეგიონში ფუნქციონირებს 20 თეატრი, აქედან 5 არის პროფესიული, 11 - სახალხო და 4 - სამოყვარულო. თეატრების უმრავლესობა საჭიროებს როგორც რეაბილიტაციას, ასევე, განათებისა და ხმის აპარატურის განახლებას.

ქ. ქუთაისში მოქმედებს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო პროფესიული თეატრი, რომელიც 2011 წელს სრულიად განახლდა.

იმერეთის რეგიონში ფუნქციონირებს 100–ზე მეტი ბიბლიოთეკა, რომლებიც საჭიროებენ მოდერნიზაციას. აუცილებლობას წარმოადგენს ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ სტუდენტთა და მოსწავლეთა რიცხოვნობას რეგიონში. ბიბლიოთეკებს შორის აღსანიშნავია ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი მილიონამდე აღწევს.

რეგიონში მოქმედებს 7 საგამოფენო დარბაზი, რომლებშიც ხშირად ტარდება მხატვრული ნიმუშებისა და ნახატების გამოფენა. ამ მხრივ გამოირჩევა, ქალაქ ქუთაისის, ხონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტები. 2013 წლის მონაცემებით, იმერეთში მოეწყო 72 გამოფენა. რეგიონში გახსნილია და მუშაობს 33 კულტურის ცენტრი.

იმერეთში მხოლოდ ქალაქ ქუთაისშია კულტურული დასვენების პარკები. აღსანიშნავია ქალაქ ქუთაისში ბ. გაბაშვილის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი და ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის დასვენების პარკი. ასევე, აღსანიშნავია ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, რომელიც დაარსდა მე-19 საუკუნის შუა წლებში და მისი მთლიანი ფართობი 42 ჰა-ს შეადგენს. უკანასკნელი მონაცემებით ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დენდროფლორა 600-მდე სახეობას მოიცავს. იგი შეტანილია საქართველოს ისტორიულ ძეგლთა სიაში. დამთვალიერებელთა რიცხვიც გასულ წლებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა, 2014 წლის 9 თვის მონაცემებით იგი უკვე 50 ათასამდე ტურისტმა მოინახულა.

სპორტი

იმერეთის რეგიონში განვითარებულია სპორტის მრავალი სახეობა. სპორტსმენებმა თავი გამოიჩინეს საერთაშორისო ასპარეზობებზე და ოლიმპიურ თამაშებზე.

იმერეთის რეგიონში, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სპორტის სახეობას კვლავ ფეხბურთი წარმოადგენს. ქვეყნის მასშტაბით საქართველოს ჩემპიონის, თასის მფლობელის ტიტულები მოპოვებული აქვთ ქუთაისის „ტორპედოსა“ და ზესტაფონის „ზესტაფონს“, რომლებიც სისტემატიურად წარმოდგენილი არიან ევროპის საფეხბურთო საკვალიფიკაციო ტურნირებზე. საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, ასევე, ასპარეზობენ საჩხერის „ჩიხურა“ და სამტრედიის „სამტრედია“.

საკლუბო გუნდებიდან მნიშვნელოვანია ქუთაისის საკალათბურთო გუნდი „ქუთაისი 2010“-ის კალათბურთელთა მიღწევები, საქართველოს ჩემპიონატზე ყოველწლიურად საპრიზო ადგილების დაკავების პარალელურად, 2014 წელს საქართველოს თასის მოპოვებით ევროთასებზე მონაწილეობის მნიშვნელოვანი წინაპირობა შექმნა.

სპორტული ბაზებიდან საერთაშორისო სტანდარტების საფეხბურთო მოედნებია ქალაქ ქუთაისში და ქალაქ ზესტაფონში, თანამედროვედ მოეწყო საჩხერის საფეხბურთო მოედანი. აღდგენილ იქნა ვანის, სამტრედიის, თერჯოლის, ტყიბულის, ხონის, ხარაგაულის, ბაღდათისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების საფეხბურთო მოედნები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 2015-2016 წლებში შეემატება უეფა-ს სტანდარტების საფეხბურთო სტადიონი და მოეწყობა თანამედროვე საფარის მძლეოსნური ბილიკები. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქალაქ ქუთაისში ახალი 5000 კაციანი სპორტის სასახლის მშენებლობაზე, სადაც 2017 წელს უნდა გაიმართოს ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში. აღნიშნული სპორტის სასახლე უმასპინძლებს, როგორც ზაფხულის ოლიმპიურ სახეობათა ასპარეზობებს, ასევე, ზამთრის სახეობათა შეჯიბრებებს.

2015 წლიდან ქალაქ ქუთაისში ფუნქციონირებს წამყვანი სარაგბო ევროპული ქვეყნების დონის რაგბის აკადემია, რომელიც იფუნქციონირებს ახლად აშენებულ საერთაშორისო სტანდარტების რაგბის კომპლექსში.

სპორტში პრიორიტეტად მიჩნეული სპორტული კომპლექსების შექმნისათვის (სპორტული ნაგებობების განვითარება ერთიან ტერიტორიაზე) 2014 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე მდებარე ძიუდოს სპორტული სკოლის ჭიდაობის სახეობათა სპორტულ კომპლექსად

ჩამოყალიბებისათვის. კომპლექსის ერთიანობა ხელს უწყობს სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და, ასევე, ჭიდაობის ერთი სახეობიდან სხვა მათთვის სასურველ სახეობაში გადასვლას.

იმერეთში არ ფუნქციონირებს სტანდარტული ტიპის სპორტული კომპლექსები. საჩხერის მუნიციპალიტეტის გარდა, რეგიონში არ არსებობს საწყალოსნო სპორტის სახეობათა აუზები (კომპლექსები), საერთოდ არ ფუნქციონირებს სპორტული მედიცინის მომსახურების ცენტრები, რის გამოც ყველა სპორტსმენი წინასაშეჯიბრო დიაგნოსტიკას გადის მხოლოდ ქალაქ თბილისში.

აღსანიშნავია, რომ რეგიონში განსავითარებელია სპორტული ინფრასტრუქტურა და სასპორტო განათლება. სპორტული და განმაჯანსაღებელი ობიექტების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის. განსავითარებელია მასობრივი სპორტის სისტემა, რაც აუცილებელია რეგიონში მოსახლეობის მასობრივად სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩასაბმელად.

ახალგაზრდობა

იმერეთში მცხოვრები ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი სამოქალაქო საზოგადოების ცხოვრებაში. ქალაქ ქუთაისში მდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოდგენილია სტუდენტური თვითმმართველობებითა და სტუდენტური საინიციატივო ჯგუფებით. იმერეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების 90%-ში ახალგაზრდებს უჭირავთ წამყვანი პოზიციები. ქალაქ ქუთაისში 2014 წელს ახალგაზრდების ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალგაზრდული ცენტრი, რომელშიც ფუნქციონირებს 16 სახელოვნებო სტუდია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმერეთში ნაკლებად არის განვითარებული ახალგაზრდებისათვის თავშეყრის ადგილები. რეგიონის მასშტაბით, მხოლოდ საჩხერესა და ხარაგაულში ფუნქციონირებს კინოთეატრი პატარა დარბაზით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან საქართველოს ყველა რეგიონში დაგეგმილია ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობა, მათ შორის, იმერეთის რეგიონშიც. ეს ცენტრი ხელს შეუწყობს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობას, ინფორმაციულ უზრუნველყოფას, ინოვაციურ და საერთაშორისო პროგრამებში ჩართვას, პროფესიული განათლების განვითარებას და ახალგაზრდული ორგანიზაციების მოტივაციის გაზრდას.

მედია

იმერეთის რეგიონში ფუნქციონირებს 5 რეგიონული მნიშვნელობის ადგილობრივი ტელევიზია, 3 რადიომაუწყებლობა და ცენტრალური ტელევიზიების 5 ბიურო. ამასთან, რეგიონში მოქმედებს 4 საინფორმაციო სააგენტო. თითოეულ მუნიციპალიტეტში მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გამოდის, სულ მცირე, თითო გაზეთი. მათი საშუალებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სრულად მიიღონ ინფორმაცია რეგიონში არსებული ვითარების შესახებ.

გენდერული მაჩვენებლები

ქალთა ჩართულობა რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაბალია. მუნიციპალიტეტების საკრებულოები 4-5 ქალით არის წარმოდგენილი. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასა და იმერეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებში გენდერული თანაფარდობა მეტნაკლებად დაცულია. საჯარო სექტორში დასაქმებულია 783 ქალი და 1477 კაცი, აქედან ხელმძღვანელ თანამდებობაზე არის 252 კაცი და 35 ქალი.

IV. რეგიონული ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა

ბუნებრივი რესურსები

რეგიონში ეკონომიკის განვითარების დონეს და მის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად განაპირობებს მდიდარი ბუნებრივი რესურსები. რეგიონი გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით. ამჟამად, იმერეთში 100-ზე მეტი მინერალურ-სანედლეულო რესურსების საბადოა აღრიცხული. მათგან ექსპორტზე გადის მანგანუმი, ქვანახშირი, ბარიტის, თიხის მარაგები, ბეტონიტური თიხები (გუმბრინი), მარმარილო, გამარმარილოებული კირქვები, ტეშენიტების, ბაზალტის საბადოები.

ჭიათურაში მანგანუმის ბალანსური და ბალანსგარეშე მარაგები დაახლოებით 215 მილიონ ტონას შეადგენს მადნის ყველა ტიპის (ჟანგეული, კარბონატული, დაჟანგული, შერეული, ქვიშაქვები) მიხედვით. სავარაუდოდ, მანგანუმის ჯერ კიდევ დაუმუშავებელი მარაგები არსებობს მდ. ყვირილას, ჩხარი-აჯამეთის, ქალაქ ქუთაისის და თერჯოლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე.

ქალაქ ტყიბულში ქვანახშირის მარაგები დაახლოებით 3,1 მლნ. კუბური მეტრია (მ.შ: კურსები – 1,5 მლნ., ლოლაშენი – 1,6 მლნ.), ქალაქ წყალტუბოში (ოფურჩხეთის) - დაახლოებით 3,0 მლნ. $მ^3$. ასევე, მოცულობითია ეკლარისა (16,6 მლნ. ტონა) და გელათის (1.6 მლნ. $მ^3$) ქვის საბადოებიც, რაც ადგილობრივი წარმოების განვითარების რეალურ შესაძლებლობებს წარმოშობს.

იმერეთის რეგიონი მდიდარია სამშენებლო ინდუსტრიისათვის საჭირო რესურსული პოტენციალით. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული 2009–2010 მონაცემების მიხედვით, იმერეთში ბურებრივი რესურსების შემდეგი მარაგებია:

- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი: ბოსლევის სააგურე თიხის საბადო მარაგი – 870 ათასი $მ^3$; შროშის ცეცხლგამძლე თიხების მარაგი - 20422000 ტ;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტი: ჩხარის სააგურე (150 მარკის) თიხის საბადო - 331000$მ^3$;
- საჩხერის მუნიციპალიტეტი: პერევის კერამიკული თიხის საბადო - 108000 ტ, ლაშურის სააგურე (175 მარკის) თიხის საბადო - 6,9 მლნ. $მ^3$;

- სამტრედიის მუნიციპალიტეტი: ბარძგნარას სააგურე თიხის მარაგი - 28000 $მ^3$, ბუკნარის სააგურე თიხის საბადო მარაგი შეადგენს - ბალანსური - 1041000$მ^3$ და ბალანსგარე - 231000$მ^3$-ს
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტი: უკანეთის თიხის საბადო - 281000$მ^3$;
- ხონის მუნიციპალიტეტი: ხონის თიხის საბადო – 128 ათასი $მ^3$; „დედალაურის" კირქვის (საკედლე ბლოკი) საბადო – 496 ათასი $მ^3$;
- ჭიათურის მანგანუმის საბადო ბალანსგარე მარაგი შეადგენს - 54000 ტ-ს.

რეგიონში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად. იმერეთში ამჟამად 5 ჰიდროელექტროსადგურია განლაგებული: რიონჰესი, გუმათჰესი, ვარციხჰესი, ძევრულჰესი, შაორჰესი. მათ მიერ ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება დაახლოებით 1400-1500 მლნ. კვტ. საათია. ჰიდრორესურსების სიუხვე, იმავდროულად, მრავალი მცირე (მინი) ჰესის აგების და ფუნქციონირების პირობებსაც ქმნის.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ნახშირის საბადოებიდან შესაძლებელია მეთანის მიღება და შემდგომში მისი მრავალმხრივ გამოყენება.

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით რეგიონის ტყის ფონდის ფართობი 353,5 ათ. ჰექტარია, რაც საქართველოს ტყის ფონდის ფართობის 11,8%-ია. ტყის ფონდის მიხედვით ტყიანობის კოეფიციენტი 54%-ს შეადგენს.

ტყის ჭრით მიღებული ხე-ტყის მოცულობა ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2010 წლისათვის მისი მოცულობა 97,4 ათასი კუბური მეტრი იყო, 2012 წელს კი მხოლოდ 34,6 ათასი კუბური მეტრი შეადგინა. ტყით დაფარულ ფართობებზე მრავალფეროვანი ჯიშები არსებობს. ყველაზე გავრცელებული ჯიშებია: მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, წაბლი, ძელქვა, აკაცია, ევკალიპტი და ა.შ. მიუხედავად ხე-ტყის მოცულობის შემცირების ტენდენციისა არსებული მარაგი სამრეწველო დანიშნულებით გამოყენების საშუალებას გვაძლევს, ჭრის რაციონალურად განხორციელების პირობებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.

რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულება

წარმოების განაწილება ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის მიხედვით დამოკიდებულია რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობაზე. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წარმოების ფაქტორების (მუშახელი, ფულადი და არაფულადი აქტივები, ბუნებრივი რესურსები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძირითადი საშუალებები და ტექნოლოგიები) არსებობა და განაწილება.



წყარო: საქსტატი

2008-2012 წლებში ფაქტობრივად შენარჩუნდა რეგიონში წარმოებული დამატებული ღირებულების ზრდის ტენდენცია (1,6 მლრდ. ლარიდან 2,2 მლრდ ლარამდე, ზრდა 137%). შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მთლიანი რეგიონული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, რაც რეგიონის ეკონომიკაში პოზიტიურ ძვრებზე მიუთითებს. კერძოდ, თუ 2008 წელს ეს მაჩვენებელი 2324 ლარს შეადგენდა, 2012 წლისათვის 3173 ლარს მიაღწია. აღნიშნულის მიუხედავად, მთლიანი რეგიონული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.



წყარო: საქსტატი

მრეწველობა

1990-ანი წლების დასაწყისიდან სამრეწველო წარმოების დონის მკვეთრი დაცემა და ამის შედეგად რეგიონის შიდა პროდუქტში დარგის ხვედრითი წილის არსებითი შემცირება აღინიშნა. ეს თავისთავად მიანიშნებდა დეინდუსტრიალიზაციის რეალურ საშიშროებაზე, რასაც სამრეწველო პროდუქციის ნომენკლატურისა და იმ პერიოდის წარმოების დინამიკის მონაცემებიც ადასტურებენ.

1995-2001 წლებში რეგიონის ეკონომიკურ სფეროში რიგი პოზიტიური ძვრები აღინიშნა, თუმცა, მდგომარეობა კვლავ რთულად დარჩა. ბოლო 15 წლის განმავლობაში (1999-2013 წლები) მნიშვნელოვნად გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 114,2 მლნ. ლარიდან 678,9 მლნ. ლარამდე (თითქმის 6-ჯერ). თუმცა 2012 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება შემცირდა 8,4%-ით. საქართველოს რეგიონების მიერ წარმოებულ სამრეწველო პროდუქციაში იმერეთის ხვედრითი წილი 15,2%-ია.



წყარო: საქსტატი

2004-2013 წლებში მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 13 845 კაციდან 15 219 კაცამდე გაიზარდა. სამრეწველო წარმოების ძირითადი სფეროებია: მეტალურგიისა და ლითონპროდუქტების წარმოება, ელექტროენერგიის წარმოება, კვების პროდუქტების წარმოება და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება.

რეგიონის მრეწველობის განვითარებისათვის ძირითად პრობლემებს წარმოადგენს საწარმოო სიმძლავრეების დაუტვირთაობა; წარმოების პროცესში გამოყენებული მოძველებული ტექნოლოგიები; არაკვალიფიციური მუშახელი და ბაზრების შეუსწავლელობა.

იმერეთში მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია მძლავრი ენერგეტიკული ბაზის ჩამოსაყალიბებლად, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სამრეწველო სექტორის განვითარებისათვის. ქვეყნის მასშტაბით ჰიდრორესურსების ტექნიკურად განხორციელებადი პოტენციალი 80-85 მლრდ. კვტ.სთ-ს შეადგენს, ხოლო ეკონომიკურად მიზანშეწონილია ვაწარმოოთ 40-45 მლრდ. კვტ.სთ-ია, აქედან იმერეთის მდინარეების ენერგო პოტენციალი შეადგენს 8-10 მლრდ. კვტ.სთ-ს.



წყარო: საქსტატი

მრეწველობაში ბრუნვის მოცულობამ 2013 წელს 698,8 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 31 მლნ. ლარით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. დარგში ფიქსირებულ აქტივებში 2013 წელს 48,2 მლნ. ლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც 25,3 მლნ. ლარით ჩამორჩება 2012 წლის მაჩვენებელს.

ბიზნეს სექტორის ზოგადი აღწერა

ბიზნესის რეესტრიის ოფიციალური მონაცემებით, იმერეთის რეგიონში რეგისტრირებულია 81198 სუბიექტი (2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით), რაც მთლიანად ქვეყანაში რეგისტრირებული სუბიექტების 13,8%-ს შეადგენს და ქალაქ თბილისის გარდა, ნებისმიერი სხვა რეგიონის მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება. 2013 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით რეგიონში არსებული სამეურნეო სუბიექტების მთლიანმა ბრუნვამ 2042,4 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო გამოშვებულმა პროდუქციამ - 1135,5 მლნ. ლარი. იმავე წელს ამ სექტორში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 43122 იყო, ხოლო საშუალო თვიური ანაზღაურება - 489,3 ლარი, რაც 67,5 ლარით აღემატება იმავე პერიოდში რეგიონში საჯარო სექტორში საშუალო თვიური ანაზღაურების მაჩვენებელს.

რეგიონის ბიზნეს სექტორში რეგიონების მთლიან ბრუნვაში იმერეთის ხვედრითი წილი 16,5%–ია, ხოლო გამოშვებულ პროდუქციაში 14%. ამასთან, როგორც ბრუნვის, ისე გამოშვებული პროდუქციის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება საშუალო რეგიონულს (შესაბამისად, 805 მლნ. და 334 მლნ. ლარით).



წყარო: საქსტატი

ბიზნეს სექტორში გამოშვებული პროდუქციის ზრდის მიუხედავად, უარყოფითი ტენდენცია ვლინდება ამ სექტორში დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით 2006-2010 წლებში. თუ 2006 წელს ამ სექტორში 37,3 ათასი კაცი იყო დასაქმებული, 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 35,5 ათასი კაცი შეადგინა (შემცირდა 1,8 ათასი კაცით). თუმცა, 2011-2013 წლებში ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. კერძოდ, დასაქმებულთა რაოდენობა ამ პერიოდისათვის გაიზარდა 40 087 კაციდან 43122 კაცამდე (3035 კაცით, ზრდის ტემპი 107%).



წყარო: საქსტატი

ბოლო წლებში იმერეთში განხორციელებული და მიმდინარე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის, ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-გაუმჯობესება, საბოლოოდ, სწორედ ბიზნესის განვითარებისაკენ არის მიმართული.

იმერეთში ფუნქციონირებს ქვეყანაში მოქმედი თითქმის ყველა საბანკო, საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულება, ასევე, ადგილობრივი ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციები, სახელმწიფო დაწესებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა გამართული მუშაობა უმნიშვნელოვანესია რეგიონში ინვესტიციების მოზიდვისთვის და ბიზნესის განვითარებისათვის.

საშუალოვადიან პერსპექტივაში ბიზნესის განვითარებისათვის რეგიონში ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში ფართო შესაძლებლობებს შექმნის ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც გაუადვილებს ადგილობრივ პროდუქციას ევროპის ბაზარზე შესვლას. ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს დამატებით სტიმულს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ რეგიონში წარმოებულ პროდუქციას გზა ეხსნება ევროკავშირის 500 მილიონიან ბაზარზე გასასვლელად. ამისათვის საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციებისა და სტანდარტების ჰარმონიზება ევროკავშირის სამართალთან. მიზანშეწონილია, კვლევის ჩატარება ბიზნესის სფეროში რეგიონის შესაძლებლობების შესახებ, რაც საჭიროა კონკრეტული პროექტების მომზადებისათვის. რეგიონში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთა შორის აღსანიშნავია ჯერ კიდევ არასრულად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ინვესტიციების ნაკლებობა, მუშახელის არასათანადო კვალიფიკაცია, თანამედროვე ტექნიკაზე და ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და ა.შ.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის №106 დადგენილებით შეიქმნა ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (შემდგომში - ქუთაისის თიზ), რომლის ფუნქციონირების ვადად ამავე დადგენილებით განისაზღვრა 2009 წლის 1 დეკემბერი. ქუთაისის თიზ-ი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე, ავტომშენებლის ქ. №88-ში მდებარე 269 014.27 კვ.მ მიწის–ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №03.01.01.298). ქუთაისის თიზ-ის ტერიტორიაზე ამოქმედდა ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტი.

2011 წლამდე ქუთაისის თიზ-ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 800 კაცს. დღეისათვის დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 580 ადამიანს. ქუთაისის თიზ-ის ტერიტორიაზე მოქმედებს გაზქურების, სარეცხი მანქანების, წყლის ელექტროგამათბობლების, კონდიციონერებისა და ტექსტილის მწარმოებელი ქარხნები. ქუთაისის თიზ-ში ნაწარმოები პროდუქცია დსთ-ს 10 ქვეყანაში გადის ექსპორტზე.

ქალაქ ქუთაისში იგეგმება მეორე თიზ-ის შექმნა. ძირითადად დასრულებულია ინდუსტრიული ზონის მთლიანი დაგეგმარების სამუშაოები, სადაც მოეწყო ინფრასტრუქტურის ყველა საჭირო ელემენტი, ტერიტორიაზე დასრულდა რამდენიმე ქარხნის მშენებლობა, განხორციელდა ინვესტორების მოზიდვისათვის საჭირო ღონისძიებები.

იმერეთის რეგიონში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის არსებობა მიზანშეწონილია ადგილობრივი მოსახლეობისათვის დასაქმების ადგილების შექმნის მიზნით.

ეკონომიკის სხვა დარგები

ეკონომიკის სხვა დარგებიდან რეგიონში ძირითადად განვითარებულია მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

2012 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, მშენებლობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულება შეადგენს რეგიონში მთლიანიდამატებული ღირებულების დაახლოებით 2 პროცენტს. 2011 წელს დაფიქსირდა უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეული იყო საქართველოს პარლამენტის შენობის მშენებლობის ინტენსიური ტემპით.



წყარო: საქსტატი

2014 წელს ექსპლუატაციაში შევიდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი–სენაკი–ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის ზესტაფონი–სამტრედიის 32 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო გზის გამტარუნარიანობის ამაღლებასა და უსაფრთხო გადაადგილებას. დაგეგმილია აღნიშნული გზის ახალი მონაკვეთების მშენებლობა და მისი ექსპლუატაციაში შესვლა, რაც რეგიონის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი და მასტიმულირებელი ფაქტორი იქნება.

რეგიონში თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისათვის ხელმისაწვდომია სარკინიგზო ტრანსპორტი, როგორც სამგზავრო, ასევე, სატვირთო გადაზიდვებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, სარკინიგზო ტრანსპორტი განახლებას საჭიროებს.

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ამოქმედებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მგზავრთა ნაკადი იმერეთის რეგიონში, ვინაიდან აღნიშნული საერთაშორისო აეროპორტით სარგებლობს არა მხოლოდ იმერეთი, არამედ მთელი საქართველო და უამრავი უცხოელი ტურისტი. გახსნიდან 2 წლის განმავლობაში (2014 სექტემბერი) მისი მომსახურებით ისარგებლა 380 ათასმა მგზავრმა და მათი რაოდენობის დინამიკა მუდმივად მზარდია. თუმცა, აღნიშნული საერთაშორისო აეროპორტის დატვირთვის გაზრდისათვის, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სხვა რეგიონებიდან დამატებითი მგზავრების მოზიდვას, აუცილებელია რეგულარული პირდაპირი სამგზავრო რეისების დანიშვნა აეროპორტიდან მსხვილი ქალაქებისაკენ და პირიქით. 2016 წლის მდგომარეობით, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები იდგმება.

რეგიონში ოპერირებს ქვეყანაში მოქმედი კავშირგაბმულობის თითქმის ყველა კომპანია, რომლებიც მრავალფეროვან მომსახურებებს სთავაზობენ საკუთარ მომხმარებლებს კონკურენტულ პირობებში.

ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2012 წელს შეადგინა 1503 ადამიანი, მაშინ როცა 2011 წელს დასაქმებული იყო 919 ადამიანი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულ სფეროებში მზარდი მაჩვენებლებისა, ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, უპირველეს ყოვლისა კი დასარეგულირებელი და გასაუმჯობესებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა, რომლის მიმართაც რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოხატავს.

2013 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, რეგიონში ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობამ 994,4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 32%-ით აღემატება 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

იმერეთში ვაჭრობა მნიშვნელოვანწილად ხორციელდება ბაზრობების მეშვეობით. სწორი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელია, რომ მომსახურებისა და სავაჭრო სფეროს თანამედროვე ორგანიზებული ფორმები (მოლები, სუპერმარკეტები, სავაჭრო ცენტრები, გამოფენა-გაყიდვები, სალონები და ა.შ.) ინვესტირების სასურველ ობიექტებად იქნეს განხილული.

როგორც მცირე, ასევე, მსხვილი სავაჭრო ცენტრებისა და ობიექტების მშენებლობისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, მ.შ. ქუთაისი(ავტოქარხანა)-ხონი-სამტრედიის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის გასწვრივ, დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ ქუთაისის და სხვა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში.

სამწუხაროდ, რეგიონში არ არსებობს ლოჯისტიკური ცენტრი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის პორტის, სამტრედიის სარკინიგზო კვანძისა და დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის, ფოთის და ქუთაისის თიზ-ებთან ახლო მდებარეობა ლოჯისტიკური ცენტრების საფუძვლიან პერსპექტივასა და შესაძლებლობას ქმნის.

სოფლის მეურნეობა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) დაშლის შემდეგ, იმერეთის რეგიონის აგროსექტორმა დაკარგა გასაღების ბაზრები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ამ სექტორში პროდუქციის წარმოების დესტიმულირებაზე. ეკონომიკური სისტემის რღვევამ, 1990–იანი წლების დასაწყისში განაპირობა დარგის პროდუქტიულობის კატასტროფული შემცირება. სექტორის გადაწყობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მნიშვნელოვანი გართულებებით მიმდინარეობდა. რეგიონის სასოფლო–სამეურნეო სფეროს განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა სახელმწიფო ქონების, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და აგროგადამამუშავებელი საწარმოების პრივატიზებისმ პროცესმა. 1996 წლის მიწის რეფორმისა და მიწის იჯარის პროგრამის განხორციელების შედეგად სასოფლო–სამეურნეო სავარგულების ნახევარზე მეტი კერძო საკუთრებაში გადავიდა. რეგიონში პრივატიზებულია სახნავი მიწების 86%, მრავალწლიანი ნარგავების 80% და სათიბებისა და საძოვრების 10%.

დღესდღეობით იმერეთის რეგიონის სოფლის მეურნეობის სექტორი უფრო მეტად ორიენტირებულია კომლის სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და არა სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე. ამ დარგში დასაქმებულთა უმეტესობა თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთნება და საქმიანობენ ოჯახურ მეურნეობებში. ფერმერული მეურნეობები განუვითარებელია და სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დონე დაბალია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიები, მეთოდები მოძველებულია და განახლებას საჭიროებს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტები და პროგრამები აგრარული სფეროს განვითარების ხელშეწყობისათვის. აღნიშნული ღონისძიებები ითვალისწინებს ახალი საწარმოების შექმნას, წარმოების გაფართოებას, ბაზრებზე ორიენტირებულ და მათ შორის საექსპორტოდ გათვალისწინებული პროედუქციის წარმოებას. ასევე, მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოებას.

სოფლის მეურნეობის სექტორის მოტივაციის გაზრდისათვის გასაღების ბაზრების არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით რეალური შედეგების მოტანა შეუძლია ევროკავშირთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებას. იმერეთში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების ძირითად ბაზრად დღესდღეობით კვლავაც პოსტსაბჭოთა სივრცე რჩება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსი. მეტად მრავალფეროვანია რეგიონის ნიადაგი, მათი გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი და მცენარეული საფარი. ფართოდ გავრცელებულია ალვური, სუბტროპიკულ ყვითელმიწა-ეწერი, წითელმიწა, ნეშომპალა–კარბონატული და ყომრალი, მაღალმთიან რეგიონებში გვხვდება ღია გაეწერებული ტყის მურა ნიადაგებიც, ყვითელმიწა და თხელფენა წითელმიწა ნიადაგები. ზემოაღნიშნული ტიპის ნიადაგების გამოყენება შესაძლებელია ჩაის, ვაზისა და სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად. სექტორის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაცია და მიწის კადასტრიზაციის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არარსებობა. რეგიონში სახნავი ფართობი შეადგენს 62,3 ათასი ჰა–ს.

მემცენარეობა. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, სულ უფრო მზარდი ხდება ბოსტნეულის წარმოება და ექსპორტი. ბოსტნეულის წარმოების ტრადიცია, კლიმატური პირობები და ათვისებული პოსტსაბჭოთა სივრცის ბაზრები ხელს უწყობს იმერეთში ბოსტნეულის წარმოების განვითარებას. რიგ მუნიციპალიტეტებში (წყალტუბო, ხონი და სამტრედია) კარგად არის განვითარებული სასათბურე ინფრასტრუქტურა, თუმცა, მათი მასშტაბი მაინც მცირეა. მოსავლის შენახვის მიმართულებით დანერგილია თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც ხელს უწყობს მიღებული მოსავლის დასაწყობებასა და შენახვას 3–5 თვიანი პერიოდით. აღნიშნული ტექნოლოგიები ამცირებენ აღებული მოსავლის დანაკარგებს და ხელს უწყობენ სტაბილური ფასების შენარჩუნებას ბაზარზე, რაც სექტორში მომუშავე ბიზნეს სუბიექტებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სექტორის განვითარებაში, განსაკუთრებით კოოპერირებისა და ახალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის მიმართულებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ შესაბამისი პროფილის საერთაშორისო გრანტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. 2013 წელს ბოსტნეულის წარმოებამ რეგიონში 26,7 ათას ტონას მიაღწია და ქვეყანაში წარმოებული ბოსტნეულის 13,04% შეადგინა.

რეგიონში რამდენიმე მცირე ზომის საოჯახო ტიპის მხოლოდ ვაზის სანერგე მეურნეობა არსებობს, თუმცა იმერულ ვაზის ენდემურ ჯიშებზე გაზრდილ მოთხოვნას

აღნიშნული მეურნეობები ვერ აკმაყოფილებენ. არსებული მდგომარეობა ქმნის სანერგე მეურნეობების განვითარებაში ინვესტირების აუცილებლობას.

2009 წელს იმერეთზე მოდიოდა ქვეყანაში წარმოებული ბოსტნეულის 8,22 %, რაც შეადგენდა 14 ათას ტონას.



წყარო: საქსტატი

2009–2013 წლებში ბოსტნეულის წარმოება ქვეყნის მასშტაბით 5%–ით იზრდებოდა, მაშინ როცა იმერეთის ანალოგიური მაჩვენებელი 19% იყო. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა რეგიონის წილის დაახლოებით ხუთ პუნქტიანი ზრდა ქვეყნის მასშტაბით წარმოებული ბოსტნეულის მთლიანი მოცულობის სტრუქტურაში.

2013 წელს რეგიონის მემცენარეობის სფეროში ლიდერობს ბაღჩეულის პროდუქცია (13.9 ათასი ტონა), სიმინდი (99,6 ათასი ტონა) და ლობიო (2.4 ათასი ტონა).

საქართველოს სხვა რეგიონების ნიადაგი და კლიმატური პირობები უკეთეს გარემოს ქმნის ხილის წარმოებისათვის, ვიდრე იმერეთშია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული პოტენციალის გათვალისწინებით რეგიონი ამ მიმართულებითაც პროგრესს განიცდის. 2013 წელს იმერეთში 23.9 ათასი ტონა ხილი იქნა წარმოებული, რაც ქვეყნის მასშტაბით წარმოებული ხილის (217.6 ათასი ტონა) 11%–ია.



წყარო: საქსტატი

რეგიონს მოწინავე პოზიციები გააჩნია სუბტროპიკული ხილის (ლეღვი, ბროწეული, ხურმა, ფეიხოა, თუთა, კივი და ა.შ.) წარმოების თვალსაზრისით. ქვეყნის მასშტაბით აღებული სუბტროპიკული ხილის მოსავლის 17% იმერეთზე მოდის. ლიდერთა სამეულში შევდივართ თესლოვანი და კურკოვანი ხილის წარმოების თვალსაზრისით, რომლის მოსავალმაც 2013 წელს 11.2 ათას ტონას მიაღწია. მიუხედავად ხილის წარმოების არსებული რესურსებისა და პოტენციალისა იმერეთში არ არსებობს მსხვილი გადამამუშავებელი ან ხილის საშრობი პროფილის მქონე საწარმო, რაც

მნიშნელოვან სტიმულს მისცემდა ხილის მწარმოებელ მცირე და საშუალო მეურნეობების განვითარებას.

2013 წელს წარმოებული ხილისა და ყურძნის ზოგადი სტატისტიკა

	იმერეთი *(ათასი ტონა)*	საქართველო *(ათასი ტონა)*	%	პოზიცია ქვეყნის მასშტაბით
თესლოვანი	5.40	87.90	6.14	*მესამე*
კურკოვანი	5.80	49.50	11.72	*მესამე*
კაკლოვანი	7.80	51.00	15.29	*მეხუთე*
სუბტროპიკული	4.60	27.80	16.55	*მეორე*
ყურძენი	36.60	222.80	16.43	*მეორე*

წყარო: საქსტატი

რეგიონში, ასევე, გავრცელებულია თხილის კულტურა. მნიშვნელოვანია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის საკითხი.

მეღვინეობა იმერეთის აგროსექტორის ტრადიციული დარგია. მიღებული ყურძნის მოსავლის მიხედვით, კახეთის შემდეგ, სწორედ იმერეთის რეგიონი ლიდერობს. რეგიონში მუშაობენ როგორც მსხვილი ღვინის მწარმოებელი კომპანიები, ასევე, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული საოჯახო მეურნეობები. 2013 წელს იმერეთის რეგიონში აღებულმა ყურძნის მოსავალმა 36.6 ათასი ტონა შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ყურძნის მოსავლის თვალსაზრისით რეგიონი სტაბილურობით გამოირჩევა. საშუალო წლიური მოსავალი 30.88 ათას ტონას შეადგენს, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მოსავლის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირებული იყო 25 ათასი ტონა 2010 წელს. იმერეთის რეგიონში ძირითადად წარმოდგენილია ვაზის შემდეგი ჯიშები:

- „ციცქა“ — თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. საგვიანო სიმწიფის, უხვმოსავლიანი ჯიშია. იმერეთის მუნიციპალიტეტებში მისი მოსავალი შეადგენს დაახლოებით 10-12 ტ/ჰა. მტევნის საშუალო მასა 180-190 გ. სრული სიმწიფის პერიოდში შაქრიანობა არის 19%-20%, მჟავიანობა 9-12 გ/ლ.
- „ცოლიკოური“ — თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიში. ვენახის ფართობისა და არეალის მიხედვით „ცოლიკოურს“ „რქაწითელის“ შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს საქართველოში. იგი გამოირჩევა უხვმოსავლიანობით, ღვინის მაღალი ხარისხით, სოკოვან დაავადებათა მიმართ გამძლეობით, გარემოსადმი კარგი შეგუების უნარით.

მიუხედავად იმისა, რომ იმერეთი ყურძნის მოსავლის თვალსაზრისით მხოლოდ კახეთს ჩამორჩება, რეგიონი არ გამოირჩევა ღვინის მწარმოებელი მსხვილი საწარმოების სიუხვით. იმერეთში არსებული ერთადერთი ღვინისმწარმოებელი საწარმო მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში. ღვინის ქარხანა მოიცავს 2,4 ჰექტარს ფართობს, იგი აღჭურვილია თანამედროვე იტალიური დანადგარებით და უჟანგავი ლითონისგან დამზადებული რეზერვუარებით. აქ მზადდება პრემიუმ კატეგორიის წყნარი და ცქრიალა ღვინოები, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის ურთიერთშერწყმის დამსახურებაა. კომპანიას გააჩნია 900 კვ.მ. მარანი, რომელიც აღჭურვილია ახალი ფრანგული მუხის კასრებით. კომპანიას მსოფლიო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსებზე, მათ შორის,

საფრანგეთში, ბელგიასა და იტალიაში, მიღებული აქვს 47 ოქროს, 26 ვერცხლის და 20 ბრინჯაოს მედალი.

მეცხოველეობა. მეცხოველეობა იმერეთის აგროსექტორის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მიხედვით ქვეყნის მასშტაბით მეორე პოზიცია უჭირავს. 2013 წელს აღნიშნული ჯგუფის პირუტყვის სულადობამ იმერეთში 208,6 ათასი სული შეადგინა. 2009–2013 წლების განმავლობაში აღნიშნულ მიმართულებაში მცირე ზრდის ტემპი (2,1%) დაფიქსირდა. იმერეთის წილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობაში, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საშუალოდ 18%–ს შეადგენდა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტვის სულადობის ზოგადი სტატისტიკა 2014 წ.

სულადობა	იმერეთი *(ათასი სული)*	საქართველო *(ათასი სული)*	%	პოზიცია ქვეყნის მასშტაბით
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი	208.6	1,229.7	17.0	*მეორე*
ფურიდა ფურკამეჩი	106.5	641.1	16.6	*მეორე*
ღორი	31.4	191.2	16.4	*მესამე*
თხა	8.0	60.0	13.3	*მესამე*

წყარო: საქსტატი

მიუხედავად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის სტაბილური მაჩვენებლებისა, რეგიონში მცირდება ხორცის წარმოება. თუ 2009 წელს რეგიონი აწარმოებდა 12.7 ათას ტონა ხორცს, 2011 წელს აღნიშნული მაჩვენებელი დაეცა 9.3 ათას ტონამდე, ხოლო 2013 წელს შეადგინა 8.6 ათასი ტონა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2009–2013 წლებში ხორცის წარმოება ქვეყნის მასშტაბით საშუალოდ 2%-ით მცირდებოდა, ხოლო 2013 წელს დაფიქსირებულ 13.6%–იანი ზრდის პარალელურად იმერეთში – 6.2%–იანი ზრდა დაფიქსირდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რძის წარმოების სფერო, სადაც იმერეთი ლიდერია ქვეყნის მასშტაბით. 2013 წელს წარმოებულმა რძის მოცულობამ 129,7 მლნ ლიტრი შეადგინა, რაც ქვეყნის მასშტაბით წარმოებული რძის 1/5–ზე მეტს შეადგენს (21,5%). 2012–2013 წლების განმავლობაში რძის წარმოების 10%–იანი ზრდის საშუალო ტემპი გვაქვს, რაც თავის მხრივ სექტორის პერსპექტიულობაზე მიგვითითებს. რძის წარმოების თვალსაზრისით არსებული რესურსებისა და პოტენციალის ეფექტიანად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანი სტიმული იქნება რძის შემკრები ერთი კვანძის არსებობა მაინც, რაც დღეს ამ მიმართულების განვითარებისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ნედლეულის კონსოლიდაციის შესაძლებლობა შექმნის ორ უმნიშვნელოვანეს ეფექტს:

- სტაბილური და ზომების თვალსაზრისით მიმზიდველი სანედლეულო ბაზა – რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანიებისათვის;
- სტაბილური გასაღების ბაზარი მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის.



წყარო: საქსტატი

მეფრინველეობა. 2013 წელს იმერეთის რეგიონში აღწერილ იქნა 1214,5 ათასი ფრთა ფრინველი, რაც ქვეყანაში აღწერილი ფრინველის რაოდენობის 18%–ს შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ფრინველის ხორცის წარმოების თვალსაზრისით. 2013 წელს იმერეთში წარმოებულ იქნა 1.9 ათასი ტონა ფრინველის ხორცი, საქართველოში წარმოებული ფრინველის ხორცის (10.1 ათასი ტონა) 19%. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად განვითარდა მეფრინველეობის დარგი და კვერცხის წარმოება.

რეგიონში, მესაქონლეობის გარდა, განვითარებულია მეღორეობა (31,4 ათასი სული), მეფუტკრეობა (13,9 ათასი სკა), სატბორე და საკალმახე მეურნეობები.

სურსათის უვნებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიები და ირიგაცია. მცენარეთა დაცვის დარგში სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რეგიონში ხორციელდება საკარანტინო ღონისძიებები. პერიოდულად წარმოებს სასოფლო სამეურნეო სავარგულების ფიტოსანიტარული მონიტორინგი, დიაგნოსტიკა, მავნე ორგანიზმების გავრცელების პროგნოზირება და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება. ხორციელდება კარანტინს დაქვემდებარებული საექსპერტო პროდუქციის ფიტოსანიტარული საკარანტინო შემოწმება და ფიტოსანიტარული სერთიფიკატის გაცემა. ვეტერინარიის დარგში მიმდინარეობს ცხოველების განსაკუთრებით საშიში სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებები. მიმდინარეობს „თურქულის“ ჯილეხის, ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრები, ხორციელდება კერძო ვეტერინალური საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა. მიმდინარეობს, აგრეთვე, მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სამუშაოები. მიმდინარე მონიტორინგის პროგრამით ხორციელდება სასმელი წყლისა და კვების პროდუქტების შესყიდვა და კვლევა. სურსათის უვნებლობის მოქმედი სისტემა ვერ უზრუნველყოფს რეგიონში არსებული საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებას.

მნიშვნელოვანია რეგიონში სოფლის მეურნეობის სფეროში დანერგილ იქნას თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს სექტორის ეფექტურობას. რეგიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო სერვის-ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე სახნავ-სათესი ტექნიკით. სერვის-ცენტრებში განთავსებულია აგრომაღაზიები, სადაც ფერმერს შეუძლია შეიძინოს სერტიფიცირებული შხამქიმიკატები და სასუქი.

რეგიონში არ არსებობს სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობდა საინოვაციო სისტემის განვითარებასა და ხელს შეუწყობდა რეგიონში ტექნოლოგიურ ტრანსფერსა და მომსახურებას.

იმერეთში განთავსებულია 10 სარწყავი სისტემა. თვითდინებითი საირიგაციო სისტემებით შესაძლებელია მოირწყას 33.5 ათასი ჰა, ხოლო მექანიკური მორწყვით 3.92 ათასი ჰა (რომელიც ამჟამად ამორტიზებულია და არ ფუნქციონირებს). იმერეთში სამელიორაციო სისტემის ძირითად პრობლემას მისი სიძველე და ამორტიზებული მდგომარეობა წარმოადგენს. უკანასკნელი წლების განმავლობაში სამელიორაციო პროექტების ფარგლებში ხორციელდება სათავე ნაგებობებისა და წყალგამყოფი კვანძების რეაბილიტაცია, რაც უმნიშვნელოვანესი საკითხია. სისტემის უმთავრეს პრობლემად კვლავ რჩება მიწის არხები, რის გამოც სისტემაში წყლის დანაკარგები 50%-ს უტოლდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2012-2014 წლებში ინტენსიურად მიმდინარეობს სამელიორაციო აღდგენითი სამუშაოების განხორციელება.

2012–2014 წლებში იმერეთის რეგიონის სამელიორაციო პროექტების ჯამურმა ღირებულებამ 5 700 000 ლარი შეადგინა. აღნიშნული ღირებულების სამუშაოების 80% 2014 წელს შესრულდა. აღდგენილია მაშველის, როკითის, ვარციხის სათავე ნაგებობები და ხოდაბუნის სარწყავი სისტემა სრულად. 2015 წელს განხორციელდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მაშველის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, ხონის მუნიციპალიტეტში ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის და ვანის მუნიციპალიტეტში ციხესულორის დამშრობი სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 12 მლნ. ლარი.

ტურიზმი

იმერეთის რეგიონის ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას დაცული ტერიტორიები, კურორტები და საკურორტო ზონები წარმოადგენს. იმერეთის რეგიონში წარმოდგენილია სათაფლიის ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის იმერეთის მონაკვეთი, სათაფლიისა და აჯამეთის აღკვეთილები და 15 მღვიმე, ოკაცეს კანიონი, ჩანჩქერისა და წყალწითელას ხეობის დაცული ტერიტორიები,რომლებიც წარმოადგენს უნიკალურ რესურსს ტურიზმის განვითარებისათვის და, ასევე, შესანიშნავ შესაძლებლობას ქმნის ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციისათვის.

იმერეთის დაცულ ტერიტორიებზე 2014-2015 წლებში შემოვიდა 974000 ტურისტი, რაც საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე შემოსული ტურისტების 42%-ს შეადგენს.

დღეისათვის იმერეთში 53 საკურორტო და დასასვენებელი ბაზაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულორი, კვერეთი, საწირე, ზვარე, ამაღლება, ასევე, ბალნეოლოგიური კურორტები წყალტუბო, ნუნისი, საირმე, მთისა და ტყის მასივების დიდი ფართობის (250 000 ჰა) გამო იმერეთში განვითარებულია აღმოჩენითი და სათავგადასავლო ტურიზმის სახეები. ესენია: სამთო ქვეითი, სამთო საცხენოსნო, სპელეო ტურიზმი, რაფტინგი მდინარე რიონზე, ეკო ტურიზმი. ახალი შინაარსი შეიძინა სოფლის ტურიზმმა. ამ ბიზნესში იმერეთში 200-ზე მეტი ოჯახური მეურნეობაა ჩართული. კარგი პერესპექტივები აქვს სამონადირეო ტურიზმს. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ქართული ტრადიციების, ღვინისა და სამზარეულოს ტურიზმი. ამ მიმართულებით დამუშავებულია მომსახურების პროგრამები, როგორც იმერეთის, ასევე რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, სამეგრელოს რეგიონებში მდიდარი ხალხური ტრადიციებისა და ფოლკლორის გაცნობისათვის.

იმერეთის რეგიონში ტურისტული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის გაწეულმა მუშაობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც ორგანიზებული, ასევე, არაორგანიზებული ტურისტების რაოდენობის ზრდას.



წყარო: საქსტატი

რეგიონში ჩასულ ვიზიტორთა შორის 35-38% უცხოელია. რეგიონში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. ხელმისაწვდომმა ფასებმა ქალაქი ქუთაისი აქცია რეგიონის ცენტრად და არა მხოლოდ რეგიონის, არამედ რაჭა–ლეჩხუმის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის მიმართულებითაც.

რეგიონში 134 სასტუმროს ტიპის დაწესებულებაა, რომელთა საერთო მოცულობა 3315 საწოლზეა გათვლილი, რაც ვიზიტორთა რაოდენობიდან გამომდინარე საკმარისი არ არის. რაც შეეხება რეგიონის ძირითად კურორტებს - წყალტუბოს და საირმეს, ქალაქ წყალტუბოში მიმდინარეობს ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რის შედეგადაც ქალაქი განვითარდება, როგორც რეგიონის მთავარი ბალნეოლოგიური კურორტი. ქალაქ წყალტუბოში უკვე მოქმედებს 9 სასტუმრო 495 ადგილით, ხოლო საირმეში - 7 სასტუმროს ტიპის დაწესებულება 1000 ადგილით.

დაცული ტერიტორიები

იმერეთის რეგიონი სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიებით არის წარმოდგენილი, რომელთა საერთო ფართობი 27 380 ჰექტარს უტოლდება და შეადგენს იმერეთის რეგიონის 4,2%-ს. იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე გვხვდება უნიკალური კარსტული მღვიმეები, ჩანჩქერები და კანიონი, რომლებიც გამოირჩევიან უნიკალურობით და მინიჭებული აქვთ ბუნების ძეგლის სტატუსი (19 ბუნების ძეგლი) და მოიცავენ ოთხ მუნიციპალიტეტს - წყალტუბოს, ხონის, თერჯოლისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტები. ასევე რეგიონში არის სათაფლიას დაცული ტერიტორიები (სათაფლიას ნაკრძალი და აღკვეთილი), რომელიც წარმოადგენს კომპლექსური მნიშვნელობის დაცულ ტერიტორიას და მოიცავს: სათაფლიას კარსტულ მღვიმეს, პალეონტოლოგიური მნიშვნელობის ობიექტს - დინოზავრის ნაკვალევსა და უნიკალურ კოლხურ ტყეს. რეგიონში არსებულ მღვიმეებს შორის გამორჩეულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კარსტული მღვიმე - ყუმისთავის მღვიმე (პრომეთეს მღვიმე), რომელსაც ტურისტების დიდი რაოდენობა სტუმრობს.

იმერეთის რეგიონში არის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიების ნაწილი ხარაგაულისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე და აჯამეთის აღკვეთილი ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე, რომელიც შექმნილია იმერეთის მუხისა და ძელქვის ტყეების დაცვის მიზნით.

იმერეთის რეგიონი გამოირჩევა ბუნების ნაირგვარი ფენომენებით, რომლებსაც დიდი ეკოლოგიური ღირებულება და ტურისტული პოტენციალი გააჩნიათ. ამ მხრივ აღსანიშნავია საერთაშორისო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ ეკოლოგიურ დერეფნად აღიარებული აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილოეთის (ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტები) და რაჭის ქედის სამხრეთის კალთების (ტყიბულის, ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები) ტერიტორიები, სადაც წარმოდგენილია დაახლოებით 30-მდე უნიკალური ბუნების ობიექტი. ამ ობიექტებიდან აღსანიშნავია: ჯრუჭულას, ყვირილას, ხანისწყლის, ჩხერიმალას, ჭიშურას, ძუშასა და სულორის კანიონები; ნაქერალას, ხვამლის, მუხურასა და კარიანის კლდეების ქვაბული და ბუნებრივი კარნიზები; აღნიშნული უნიკალური ობიექტების გარშემო მრავლად არის წარმოდგენილი სხვადასხვა კარსტული მღვიმეები, მორფოლოგიურად უცნაური წარმონაქმნები და ტბები (დევების ტბა).

V. საბაზისო ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურებები

გზები და ტრანსპორტი

საავტომობილო გზებისა და ხიდების მდგომარეობა იმერეთის რეგიონში არადამაკმაყოფილებელია, მიუხედავად მათი რეაბილიტაციის სამუშაოების ყოველწლიურად მიმდინარეობისა.

მუნიციპალიტეტებში მიმდინარე და დასრულებული რეაბილიტირებული საავტომობილო გზებიდან აღსანიშნავია: ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის, ქუთაისის ახალი შემოსასვლელი გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

იმის გათვალისწინებით, რომ იმერეთის რეგიონში მრავლად არის მაღალმთიანი სოფლები და გზების არარსებობის გამო იქმნება კომუნიკაციის პრობლემები, აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტიანად ჩატარება, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობისათვის. მოუწესრიგებელია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების 50%-ზე მეტი, რაც ხელს უშლის მოსახლეობის გადაადგილებას.

ასევე, აუცილებელია, ყურადღება მიექცეს ხიდ-ბოგირების პრობლემას, რომელიც ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება იმერეთში. რეგიონში მრავლადაა წყალუხვი მდინარეები, რომლებიც უხვი ნალექის დროს აზიანებს არსებულ ხიდ-ბოგირებს, რაც პრობლემას უქმნის მოსახლეობას. რიგ შემთხვევებში არსებული ხიდ-ბოგირები საჭიროებს დამატებით გამაგრებით სამუშაოებს; არის მუნიციპალიტეტები, სადაც ბოგირები არის ავარიულ მდგომარეობაში და ნალექის დროს მოსალოდნელია მათი მწყობრიდან გამოსვლა. არსებობს სოფლები, სადაც ბოგირების არარსებობის გამო მოსახლეობას რამოდენიმე კილომეტრის გავლა უწევს (სასურველია ასეთ სოფლებში

დამონტაჟდეს ახალი ხიდ-ბოგირები). იმერეთში სულ 100-ზე მეტი ხიდი მოითხოვს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

მოსახლეობის გადასაყვანად და ტვირთვების გადასაზიდად რეგიონში რამდენიმე სახეობის ტრანსპორტი მოქმედებს. ადგილობრივი რეგულარული სატრანსპორტო გადაზიდვების მომსახურება არსებობს რეგიონის ყველა თვითმმართველ ერთეულში. სოფლები მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებს, ძირითადად, ბაზრობის დღეს უკავშირდება. ავტოპარკი მოძველებულია და ამორტიზებული. სატრანსპორტო საშუალებები არასაკმარისია და არ არსებობს მუნიციპალიტეტებს შორის რეგულარული კავშირი. ამ მხრივ გამონაკლისია სამტრედიის მუნიციპალიტეტი, რომელსაც რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტთან გააჩნია პირდაპირი სატრანსპორტო კავშირი. რეგიონში სამგზავრო გადაზიდვებს ემსახურება 20–მდე კერძო და 2 მუნიციპალური კომპანია. რაც შეეხება სატვირთო გადაზიდვების კომპანიებს ისინი რეგიონში 10–მდე მცირე კომპანიის სახით არიან წარმოდგენილი.

რეგიონში არსებობს საბაგირო გზის ტრადიცია და პოტენციალი, კერძოდ, ქუთაისში მოქმედებს საბაგიროები, რომლებიც მოსახლეობის გადაყვანას ემსახურება და აქვს ტურისტული დანიშნულება. ქალაქ ჭიათურის მუნიციპალიტეტში მაღალ ზონებში მცხოვრები მოსახლეობა საბაგიროებს ყოველდღიურად გადაადგილებისათვის იყენებს.

სარკინიგზო მიმოსვლა არსებობს მხოლოდ 7 მუნიციპალიტეტში (ქალაქი ქუთაისი, ტყიბული, საჩხერე, ჭიათურა, ხარაგაული, წყალტუბო და სამტრედია). სხვა რეგიონებთან სარკინიგზო კავშირი შესაძლებელია. რაც შეეხება პირდაპირი სარკინიგზო კავშირს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ასეთი არ არსებობს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი, რომლის მომგებიანი მდებარეობა, ფრენების ფასი და სხვადასხვა მიმართულებით ფრენათა რეისების მზარდი რაოდენობა სულ უფრო მეტ ვიზიტორს იზიდავს. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენებს 6 მიმართულებით ახორციელებს დაბალბიუჯეტიანი 4 ავიაკომპანია, რომლებიც მომხმარებლებს დაბალ ფასებს სთავაზობს, რაც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს კონკურენტულს ხდის. საჰაერო მიმოსვლა საქართველოს სხვა რეგიონებთან არ არსებობს.

კომუნალური მომსახურება

რეგიონის 12–ვე მუნიციპალიტეტი მეტ–ნაკლებად გაზიფიცირებულია. პოტენციურ აბონენტთა სრული რაოდენობა იმერეთის მასშტაბით არის 154 975. აქედან გაზიფიცირებულია 74 368 ბენეფიციარი (47,9 %). ყოველწლიურად მიმდინარეობს გამრიცხველიანების სამუშაოები, მაგრამ გაზიფიცირების პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას, განსაკუთრებით სოფლებში.

რეგიონი სრულად არის ელექტროფიცირებული, გარდა 7 მაღალმთიანი დასახლებული პუნქტისა. ელექტროენერგიის მიწოდება ხორციელდება 24-საათიანი რეჟიმით.

წყალმომარაგება და წყალარინება

ყოველწლიურად მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემების მოწესრიგების სამუშაოები, თუმცა, შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი ჯერ კიდევ ძალიან დიდია.

იმერეთის რეგიონში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ წყალმომარაგების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს ქუთაისში (დასრულდება 2018 წელს), ბაღდათში, ჭიათურაში, ზესტაფონში, თერჯოლასა და ტყიბულში (მათი დასრულება დაგეგმილია 2016 წლისათვის).

იმერეთის რეგიონში ზოგიერთ მუნიციპალიტეტში საკანალიზაციო სისტემები გაუმართავია, სოფლებშიდა ზოგიერთ ქალაქში კი საერთოდ არ არსებობს. რეგიონში არ არსებობს ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები. გაუწმენდავი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, მოქმედი საწარმოებისა და სამედიცინო დაწესებულებების არასრულად გაწმენდილი წყლები, აგრეთვე, ნაგავსაყრელებიდან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჩამდინარე წყლები ჩაედინება მდინარეებში, რაც პრობლემას წარმოადგენს გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის.

მიმდინარეობს საკანალიზაციო ქსელების და მათი გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოები, მათ შორის, წყალტუბოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა (დასრულების სავარაუდო ვადა - 2017 წელი) და ზესტაფონის კანალიზაციის კოლექტორის მშენებლობა. თუმცა სამუშაოთა ძალზე დიდი მოცულობისა და ღირებულების გამო წყლის ობიექტების დაბინძურების წყაროების სრულ აღმოფხვრას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება.

საბოლოო ჯამში, წყალი ცენტრალიზებული ფორმით მიეწოდება ქალაქების მოსახლეობის 80%-ზე მეტს. მხოლოდ ქალაქ ხონშია წყალმომარაგება 24-საათიანი. დანარჩენ ქალაქებში წყლის მიწოდება ხდება გრაფიკის თანახმად. სოფლებში ძირითადად ჭებით სარგებლობენ.

რაც შეხება წყალარინების სისტემას, რეგიონის მასშტაბით ამ კუთხით მძიმე მდგომარეობაა. ბაღდათისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში სისტემა საერთოდ არ არსებობს. თერჯოლის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მხოლოდ 4%-ია უზრუნველყოფილი წყალარინების სისტემით. სოფლებში წყალარინების სისტემა არ არსებობს.

ნარჩენების მართვა

იმერეთის რეგიონში ნარჩენების მართვის მდგრადი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, ასევე, ნარჩენების შეგროვების და ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსების პრაქტიკის გაუმჯობესება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

2014 წელს მიღებული ნარჩენების მართვის კოდექსის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის კომპეტენციას განეკუთვნება მუნიციპალური ნარჩენების მართვა, მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება; მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, შექმნან, დანერგონ და მართონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთობლივი სისტემა. ამასთან, ნარჩენების მართვის კოდექსის თანახმად, 2017 წლის 31 დეკემბრამდე ყველა მუნიციპალიტეტი

მიიღებს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიან გეგმას, რომელიც ეროვნული სამოქმედო გეგმის გარდა, უნდა შეესაბამებოდეს ამავე კოდექსით განსაზღვრული ცალკეული სახეობების ნარჩენების მართვის გეგმებს; შესაძლებელია, მოხდეს ნარჩენების მართვის ერთობლივი გეგმების შემუშავება მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ.

აღსანიშნავია, რომ იმერეთის რეგიონში, ყოველწლიურად, საშუალოდ წარმოიქმნება დაახლოებით 490 000 m^3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერებისა და ნაგავმზიდების საშუალებით. მომსახურებას ახორციელებენ მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ–ები. ამჟამად, ნარჩენების სეპარაცია მოსახლეობის მიერ ხორციელდება ფრაგმენტულად და მცირე მაშტაბებით (მაგალითად: ხარაგაულისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტებში).

ამასთან, რეგიონში არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელები მოწესრიგებულია, თუმცა, რეგიონის სოფლებში ბევრია არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელი და ამ საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტები თანამშრომლობენ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“.

2018 წლისათვის რეგიონში დაგეგმილია ყველა ნაგავსაყრელის დახურვა და პარალელურ რეჟიმში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალი ნაგავსაყრელის შექმნა, რომელიც მოემსახურება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებს. აღნიშნულ ნაგავსაყრელზე შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტების მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელებიდან.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რეგიონში არ არსებობს ნაგავსაყრელი სამრეწველო და ინერტული ნარჩენებისათვის, რომელთა განთავსებაც არა მარტო იმერეთის რეგიონის, არამედ სხვა რეგიონების პრობლემასაც წარმოადგენს.

რეგიონში მოქმედ საავადმყოფოებში სამკურნალო–პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენები (სამედიცინო ნარჩენები) თავსდება სპეციალურ, ჰერმეტულად დაცულ კონტეინერებში და შესაბამისი ნებართვის მქონე კერძო კომპანია უზრუნველყოფს მის გაუვნებელყოფას.

სახანძრო–სამაშველო სამსახური

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ხოლო რეგიონის მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს სახანძრო–სამაშველო სამსახურები. აღნიშნული სამსახურების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული საკითხების მოწესრიგებისათვის.

კავშირგაბმულობა

რეგიონის ტერიტორიაზე ვრცელდება ფიჭური კავშირგაბმულობის მობილური ქსელები, რომელთა დაფარვა დასახლებების უმეტესობაზე (გარდა მაღალმთიანი ზონებისა) ვრცელდება. რეგიონში ინტერნეტ ქსელი ძირითადად ფუნქციონირებს

მობილური ქსელების (მოდემები) და სატელიტური თეფშების საშუალებით. ყველა თვითმმართველ ერთეულში მოქმედებს შპს „საქართველოს ფოსტის“ სერვის ცენტრები.

VI. გარემოს დაცვა

ჰაერის ხარისხი

რეგიონის ზოგიერთ მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით ქალაქ ქუთაისის, ზესტაფონის, ჭიათურისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში არსებობს ჰაერის დაბინძურების პრობლემები, რომელთა გამომწვევი მიზეზები სხვადასხვაგვარია. დამაბინძურებლებს შორისაა მანგანუმის, მადნისა და ქვანახშირის გამამდიდრებული საწარმოები და მეტალურგიული ქარხნები, რომლებიც ძირითადად ჭიათურის, ზესტაფონისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებშია ლოკალიზებული.

აღსანიშნავია, რომ ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობა წლის სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულია. ქალაქ ზესტაფონში ხშირად ფიქსირდება მანგანუმის ორჟანგის მაღალი კონცენტრაცია. ასევე, ქალაქი ტყიბული განიცდის ბუნებრივი რესურსების კარიერულ მოპოვებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული ემისიების უარყოფით ზემოქმედებას.

იმერეთის რეგიონზე გამავალი საქართველოს ძირითადი სატრანსპორტო დერეფნის - ბათუმი-თბილისის მონაკვეთის გამო, საავტომობილო ტრანსპორტი ასევე უარყოფითად მოქმედებს ჰაერის სისუფთავის ხარისხზე. მშენებარე საავტომობილო მაგისტრალი მნიშვნელოვნად განტვირთავს მოძრაობას, მაგრამ იმის გამო, რომ იგი კვეთს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, მათი გამოფრქვევებისგან დასაცავად სასურველია სპეციალური დამცავი ზოლის მოწყობა.

წყლის ხარისხი

იმერეთის რეგიონის წყლის რესურსების დაბინძურება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო საქმიანობის შედეგია. საკანალიზაციო სისტემებისა და მათი გამწმენდი ნაგებობების გაუმართაობა ზედაპირული წყლის ობიექტების მნივშვნელოვან დაბინძურებას იწვევს.

ზედაპირული წყლის ობიექტების დაბინძურება ასევე ხდება საწარმოო ობიექტებიდან, რაც გარემოსდაცვით ზედამხედველობას საჭიროებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სადაც საწარმოების მიერ ჩამდინარე წყლებთან ერთად მდ. ყვირილაში დიდი რაოდენობით ჩაედინება მყარი შეწონილი ნაწილაკები და მანგანუმის ნაერთები, რაც ამ მდინარის მნიშვნელოვან დაბინძურებას განაპირობებს.

იმერეთის რეგიონში მდინარეები უმეტესწილად გაედინებიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიახლოვეს. ორგანული და არაორგანული სასუქების არასწორი გამოყენების შედეგად არსებობს წყლის ობიექტების ორგანული ნივთიერებებით, აზოტისა და ფოსფორის ნაერთებით დაბინძურების რისკი. რეგიონისათვის დამახასიათებელ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით წყლების დაბინძურება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია.

ტყის დაცვა

2012 წლის მონაცემებით იმერეთის რეგიონში ტყით დაფარული ფართობის 97%-ს ეროვნული სატყეო სააგენტო მართავს, ხოლო დანარჩენი დაცული ტერიტორიების ფარგლებშია.

ტყეებში მერქნული და არამერქნული რესურსებით სარგებლობის რაციონალურად რეგულირება ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პრობლემაა. მთის ტყეების ფუნქციონალური დანიშნულების გათვალისწინებით ცალკეული კატეგორიის ტყის მასივებში მერქნული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობები შეზღუდულია, კერძოდ: საკურორტო ტყეებში, მწვანე ზონის ტყეებში, აღკვეთილებში, ეროვნული პარკებში, ასევე განსაკუთრებული ფუნქციური დანიშნულების უბნებში. აქტუალურია, რომ ტყის მდგრადი მართვა და გამოყენება დაიგეგმოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სარგებლის სამართლიანი და თანასწორი განაწილების უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

2013 წელს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ იმერეთის რეგიონში განხორციელდა დაავადებული წაბლნარი კორომების სანიტარული ჭრების ეფექტიანობის შეფასება და ტყიბულის, ხარაგაულის, ჭიათურისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განთავსებული სატყეო უბნების კვლევა. ამ მხრივ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე დაავადებული წაბლნარი კორომების აღდგენა-გაჯანსაღება.

2014 წელს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა ხარაგაულის სატყეო უბნის ტყის მეურნეობის ტაქსაციური აღწერები და მართვის გეგმა. საჭიროა, რომ ასეთი სამუშაო და მართვის გეგმა შესრულდეს ყველა უბნისათვის, რომელთა უმრავლესობა ტყის მოვლისა და აღდგენის ფართომასშტაბიან ღონისძიებებს საჭიროებს.

იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი, განსაკუთრებით კი, ბაღდათისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტები დაინტერესებულნი არიან ადგილობრივი ტყის ფონდის შექმნის პერსპექტივებით. ხსენებული მუნიციპალიტეტები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივი ტყის ფონდის შექმნის შედეგად მოხდება ტყის რესურსების გონივრულად გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ და ეფექტურად განხორციელდება ტყის განახლების, მოვლისა და მონიტორინგის სამუშაოები.

ნიადაგის ხარისხი

იმერეთის რეგიონში გვხვდება ნიადაგის ეროზიისა და დაბინძურების პრობლემაც. მაგალითად საჩხერის მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ნიადაგის ეროზიას, სადაც სხვადასხვა მიზეზით ეროზირებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მცირე ნაწილი. როგორც ჩანს, ეს გარკვეულწილად გადაჭარბებულ საქონლის ძოვებას უკავშირდება. ასევე, აქ ტყის განაკაფებში ადგილ-ადგილ მეწყერული მოვლენებიც განვითარდა. რეგიონში ზოგადად ეროზიის გამომწვევ მიზეზად აგრეთვე კლიმატური ცვლილებები და ღია კარიერული წესით წარმართული სამთო-მოპოვებითი საქმიანობებიც მიიჩნევა.

ნიადაგის დაბინძურების მთავარი მიზეზებია: საყოფაცხოვრებო და ინდუსტრიული ნარჩენების პირდაპირ გარემოში გადაყრა, გამონაბოლქვი აირები,

სასოფლო-სამეურნეო წამლები და ქიმიური სასუქები, ჰაერის დამაბინძურებელი მავნე აირების წვიმის შედეგად მიწაში შერევა და ტყეების განადგურების შედეგად გამოწვეული ნიადაგის ეროზია. ნიადაგი განსაკუთრებით დაბინძურებულია ზესტაფონისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

VII. ხელისუფლება

2014 წელს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ამოქმედების შემდეგ ახალი პირობები შეიქმნა რეგიონის მართვის გაუმჯობესების, რეგიონის განვითარების საკითხებში საზოგადოების ჩართვის თვალსაზრისით.

რეგიონში არსებული პრობლემატური საკითხების მოგვარება ხორციელდება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს საშუალებით. აღნიშნული საბჭო უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტების ინტერესების გათვალისწინებას იმერეთის რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისას.

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია და რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტები რეგიონის და მუნიციპალიტეტების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისას მოქმედებენ არსებული კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ფინანსური რესურსების ფარგლებში. იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების საკუთარი შემოსულობები 2014 წლის 10 თვის მონაცემებით შეადგენს 120 048 000.00 ლარს, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის საშუალებით სახელმწიფოსგან დამატებით მიღებულია 87 407 600.00 ლარი. გარდა ამისა, ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერებით ფინანსდება და ეს თანხა 2014 წელს შეადგენდა 2 093 000.00 ლარს. აღნიშნულის გარდა, სახელმწიფომ იმერეთის რეგიონის განვითარებისათვის 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯა 49 543 800.00 ლარი.

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია და რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტები, არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო, შეზღუდულნი არიან, განახორციელონ რეგიონის და მუნიციპალიტეტების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები. ისინი ცდილობენ, პრობლემა გადაჭრან კერძო ინვესტიციების მოზიდვითა და საჯარო და კერძო სექტორებთან თანამშრომლობის საფუძველზე ერთობლივი პროექტების განხორციელებით.

რეგიონში მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად შესაქმნელია დამატებითი მექანიზმები სტრატეგიის განხორციელების პროცესის მართვის, მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალიტეტების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების უზრუნველსაყოფად.

გარდა ამისა, საჭიროა სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და რეგიონში არსებულ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მხრივ, ძალზედ მნიშვნელოვანია კვალიფიკაციის ამაღლებისას ყურადღება მიექცეს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა, სტრატეგიული დაგეგმვა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა, საზოგადოებრივი მომსახურებების გაწევა და სხვა. გასაუმჯობესებელია სახელმწიფო რწმუნებულის -

გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.

დაწყებულია მუშაობა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოსთან შექმნილ სამუშაო ჯგუფებში რეგიონის სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ჩასართავად. შესაქმნელია თანამედროვე ინსტიტუციები არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ.

VIII. რეგიონის ფაქტობრივი ანალიზი (SWOT)

რეგიონის საერთო ფაქტორული ანალიზი	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ იმერეთის რეგიონის სიახლოვე საზღვაო პორტებთან; დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის, რკინიგზის არსებობა; ენერგეტიკულ და საავტომობილო კორიდორებზე მდებარეობა; ➢ რეგიონის ურბანიზაციის მაღალი დონე; ➢ წიაღისეული რესურსების მრავალფეროვნება; ➢ ეკონომიკის დივერსიფიკაციის მაღალი დონე; ➢ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის არსებობა; ➢ რეგიონში სტრატეგიული ენერგეტიკული ობიექტების და ენერგეტიკული ბაზის არსებობა; ➢ ხელსაყრელი კლიმატური პირობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად: მეღვინეობის, მეცხოველეობისა და მემცენარეობის განვითარებისათვის; ➢ ტურისტული სანახაობების მრავალფეროვნება.	➢ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებთან არსებულ გამყოფ ხაზთან მდებარეობა; ➢ მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი; ცხოვრების დაბალი დონე და სოციალური მომსახურების არადამაკმაყოფილებელი დონე; ➢ სუსტად განვითარებული მუნიციპალური სერვისები და ინფრასტრუქტურა; ➢ გენდერული დისბალანსი საჯარო და კერძო სექტორებში; ➢ სუსტად განვითარებული კომერციული და ბიზნეს ინფრასტრუქტურა; ➢ პროფესიულ განათლებაზე არასაკმარისი გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და სამუშაო ძალის არასათანადო განათლება; ➢ სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების არასათანადო დონე; ➢ ბუნებრივი კატასტროფების მართვის ქმედითი სისტემის არარსებობა; ➢ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტების მწირი ფინანსური რესურსები.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ საბანკო კრედიტებზე და კაპიტალის ალტერნატიულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა;	➢ საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; ➢ ბუნებრივი კატასტროფები, სამრეწველო ავარიები და ეპიდემიის

➢ რეგიონში წარმოებული პროდუქციისათვის ახალი გასაღების ბაზრების გახსნა; ➢ ტურისტული ნაკადის გაზრდა; ➢ ინვესტორების გაზრდილი ინტერესი საკურორტო და სხვა ბუნებრივი პოტენციალის მიმართ; ➢ ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების ინოვაციური მეთოდების დანერგვისათვის ქმედითი პროგრამების განხორციელება.	გავრცელება; ➢ საბანკო კრედიტების გაძვირება და ინვესტიციების შემცირება.

რეგიონის დარგობრივი ანალიზი (SWOT)

სოციალური განვითარება	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ პირველადი სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა; ➢ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებების არსებობა; ➢ მდიდარი სასწავლო–სამეცნიერო ტრადიციები, კონკურენტუნარიანი და მზარდი საგანმანათლებლო სექტორი; ➢ მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ტრადიციები; ➢ თანამედროვე სასპორტო ნაგებობები; ➢ საზოგადოებრივად აქტიური, ტრადიციული სპორტის სახეობებით დაინტერესებული ახალგაზრდობა.	➢ სამედიცინო სექტორის სუსტი მატერიალურ- ტექნიკური ბაზა; ➢ მოსახლეობის შემოსავლებისა და დანაზოგების სიმცირე; მოსახლეობის რაოდენობის შემცირება მიგრაციისა და დაბერების გამო; ➢ კომპიუტერულ ტექნოლოგიებში კვალიფიციური კადრების დეფიციტი; ➢ სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასაკმარისი რაოდენობა და არსებული შენობების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; ➢ რეგიონის განვითარებისათვის საჭირო პროფესიების კვლევისა და ანალიზის არასრულფასოვანი სისტემა, პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების ნაკლებობა; ➢ კულტურისა და განათლების ცენტრების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; საზოგადოების შეხვედრების ადგილების სიმცირე; ➢ სასპორტო სკოლების, კლუბების, სპორტული კომპლექსების, ბაზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ინვენტარით აღჭურვის კუთხით და საცურაო

	აუზების სიმცირე; ➢ მოძველებული საბინაო ფონდი; ➢ ქალაქებში და სოფლებში არასათანადო საცხოვრებელი პირობები .
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ კერძო სექტორის დაინტერესება საჯარო სექტორის ჩართულობით რეგიონისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში; ➢ ეკონომიკური განვითარების მაღალი დინამიკა.	➢ შრომისუნარიანი მოსახლეობის გასვლა რეგიონიდან; ➢ ბუნებრივი კატასტროფები; ➢ საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

ეკონომიკა და ეკონომიკური ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის, რკინიგზის, აეროპორტის არსებობა; საზღვაო პორტებთან სიახლოვე; ➢ მანგანუმის მადნისა და ქვანახშირის, მოსაპირკეთებელი მასალების (ტეშენიტი, კირქვები, მარმარილოსებრი კირქვები, ტუფი, ბაზალტი), სააგურე, კერამიკული და ცეცხლგამძლე თიხების, კალიუმის, ალუმინისა და ეკოლოგიურად სუფთა სასუქების მისაღებად ვარგისი გლაუკონიტის შემცველი ნედლეულის, გიშერის, მინერალური და თერმული წყლების საბადოების არსებობა; ➢ მდიდარი სამრეწველო პოტენციალი და სასწავლო–სამეცნიერო ტრადიციები; ➢ წყალუხვი მდინარეები, მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესაძლებლობა; ➢ ტურისტული სანახაობების მრავალფეროვნება; ➢ მრეწველობის დარგში კვალიფიციური კადრების არსებობა.	➢ ტურისტული ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და არაკვალიფიციური კადრები; ➢ მოძველებული საწარმოო ტექნიკური ბაზა რეგიონში; ➢ სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად საჭირო და არსებული ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის არარსებობა; ➢ სხვადასხვა ეკონომიკური მიმართულებებისათვის კადრების მომზადება-გადამზადების სისტემის არასათანადო დონე.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ სახელმწიფო დაწესებულებების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ბიზნეს სექტორის მხარდამჭერი ახალი პროგრამების განხორციელება;	➢ ინვესტიციების შემცირება; ➢ კვალიფიციური სპეციალისტების მიგრაცია; ➢ სტიქიური მოვლენების სიხშირე.

➢ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.	

სოფლის მეურნეობა	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების არსებობა; ➢ პროდუქციის მომხმარებლების დიდი შიდა ბაზარი და სხვა ეროვნულ ბაზრებთან სიახლოვე; ➢ ბრენდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის არსებობა; ➢ სასათბურე და ფერმერული მეურნეობების მდიდარი ტრადიციები; ➢ საექსპორტო პროდუქციის წარმოება.	➢ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა, წარმოების დაბალპროდუქტიულობა და დაბალშემოსავლიანობა; ➢ მიწის მფლობელთა შორის კოოპერაციის ნაკლებობა, ფერმერული მეურნეობების მართვის ტრადიციების არარსებობა; ➢ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის უკმარისობა; ➢ აგროტურიზმის ხელმისაწვდომობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშემწყობი სახელმწიფო და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების გაფართოება; ➢ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის ხელსაყრელი ახალი საბანკო და სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზება; ➢ ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების ინოვაციური მეთოდების დანერგვისათვის ქმედითი პროგრამების განხორციელება; ➢ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება.	➢ სტიქიური მოვლენები; ➢ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაავადებების გავრცელება; ➢ საერთაშორისო სტანდარტებისადმი დარგის მოუმზადებლობა; ➢ სასოფლო პროდუქციის დაზღვევის სისტემის არასათანადო პირობები.

გარემოს დაცვა	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე სახელმწიფო დაწესებულებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო წრეებს შორის კოორდინირების მაღალი დონე; ➢ დაცული ტერიტორიების მართვის გამართული სისტემა; ➢ არსებული ნაგავსაყრელების მოწესრიგების მიმდინარე პროცესი; ახალი ნაგავსაყრელების მშენებლობა; ნარჩენების სეპარაციის გამოცდილების არსებობა.	➢ ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, წყალარინების სისტემის არარსებობით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებითა და სამრეწველო სექტორის მიერ გარემოს დაბინძურება; ➢ გარემოს დაბინძურების ხარისხის სუსტი მონიტორინგის სისტემა; ➢ არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელების არსებობა; ნარჩენების სეპარაციისა და გადამუშავების, მათ შორის სამრეწველო და ინერტული ნარჩენების გაუვნებლობის სისტემის არარსებობა; ➢ სამრეწველო წარმოებაში მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება და გარემოსადმი მეგობრულად დამოკიდებული ტექნოლოგიების სიმწირე; ➢ მოსახლეობის განათლების დაბალი დონე გარემოს დაცვის სფეროში.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებითა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით გარემოსდაცვით სფეროში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები; ➢ გარემოზე დატვირთვის შემცირება განახლებადი ენერგეტიკის განვითარებით.	➢ ბუნებრივი კატაკლიზმები; ➢ სამრეწველო ავარიები.

ხელისუფლება და საზოგადოებრივი სერვისები	
ძლიერი მხარეები	**სუსტი მხარეები**
➢ სახელმწიფო ორგანოებს და მუნიციპალიტეტებს შორის რეგიონის განვითარების საკითხებზე კოორდინაცია; ➢ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისათვის პირობების	➢ მუნიციპალიტეტების მწირი ფინანსური რესურსები; ➢ რეგიონში არსებული დასახლებების განვითარების გეგმების კოორდინაციის ნაკლებობა რეგიონის განვითარების

გაუმჯობესება რეგიონისა და მუნიციპალიტეტების განვითარების საკითხებში; ➢ რეგიონში მოქმედი ტელევიზიების, რადიომაუწყებლობისა და ბეჭდური მედიასაშუალებების კარგად განვითარებული ქსელი.	გეგმებთან; ➢ რეგიონში არსებული დასახლებების განვითარებაში მოსახლეობის არასაკმარისი მონაწილეობა; ➢ მოძველებული საგზაო ინფრასტრუქტურა; ➢ საკანალიზაციო ქსელების და მათი გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების სიმცირე; ➢ წყალმომარაგების სისტემის გაუმართაობა; ➢ ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით არასრული უზრუნველყოფა.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
➢ კერძო სექტორის მიერ საჯარო დაწესებულებებთან ერთად რეგიონის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება; ➢ ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვაზე მიმართული სპეციალური სახელმწიფო და დონორული პროგრამები.	➢ საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი.

IX. იმერეთის რეგიონის განვითარების ხედვა, პრიორიტეტული მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

იმერეთის რეგიონის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას დიაგნოსტიკური და ფაქტორული ანალიზის, გამოვლენილი გამოწვევებისა და არსებული პოტენციალის შეფასების საფუძველზე განისაზღვრა იმერეთის რეგიონის განვითარების ხედვა 2021 წლისათვის, რომლის მიხედვითაც რეგიონი იქნება ადგილი:

➢ **სადაც უკეთესი პირობებია შექმნილი მათთვის ვინც ცხოვრობს, მუშაობს, სწავლობს, ეწევა ბიზნესს ან სტუმრად იმყოფება იმერეთის რეგიონში; არსებობს ცვლილებებისადმი ადაპტირებული მრავალფეროვანი ეკონომიკა და მიღწეულია ცხოვრების ისეთი დონე, სადაც მაცხოვრებლებს აქვთ საერთო კეთილდღეობის შექმნაში მონაწილეობის შესაძლებლობა;**

➢ **რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს სხვა რეგიონებთან და აქტიურ როლს თამაშობს საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციაში.**

იმისათვის, რომ ხედვა რეალობად იქცეს, რეგიონი ძალისხმევას მიმართავს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

პრიორიტეტი 1. რეგიონის მაცხოვრებლების საჭიროებებზე ორიენტირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა

<u>მიზანი 1. ძლიერი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობითი სისტემის და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება რეგიონში</u>

ამოცანა 1.1.

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება; მათთვის თანამედროვე ტექნიკით-აღჭურვილი, ხელსაყრელი სამუშაო გარემო-პირობების შექმნა.

ამოცანა 1.2.

იმერეთის რეგიონის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მართვის მეთოდების დანერგვა; თანამედროვე ინსტიტუციების შექმნა და განვითარება.

ამოცანა 1.3.

რეგიონისა და მუნიციპალიტეტების განვითარებასთან დაკავშირებული სტრატეგიების, გეგმების, პროგრამებისა და სხვა დოკუმენტების მომზადება.

ამოცანა 1.4.

რეგიონის, მუნიციპალიტეტების ან ცალკეული დასახლებების მართვასა და განვითარებაში გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესში საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება.

ამოცანა 1.5.

საჯარო-კერძო თანამშრომლობის პრინციპების დანერგვა რეგიონის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

ამოცანა 1.6.

სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, სისტემატიზაციის და ანალიზის ქმედითი სისტემის დანერგვა.

ამოცანა 1.7.

რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ამოცანა 1.8.

რეგიონისა და მუნიციპალიტეტების განვითარების ინდიკატორების სისტემის დახვეწა და მათ შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

<u>მიზანი 2. საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურებების გაუმჯობესება</u>

ამოცანა 2.1.

აბონენტების სასმელი წყლით, ელექტროენერგიითა (მ.შ. განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით) და ბუნებრივი აირით უწყვეტი მომარაგება; არსებული ქსელების რეაბილიტაცია, ახლების მშენებლობა.

ამოცანა 2.2.

ქალაქების, სოფლების და დაბების წყლით მომარაგების სისტემის განვითარება.

ამოცანა 2.3.

ყველა ტიპის დასახლებებში საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების, წყალარინების და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება და განვითარება.

ამოცანა 2.4.

ყველა ტიპის დასახლებაში ნარჩენების სეპარაცია, შეგროვება და გატანა; საჯარო ადგილების დასუფთავება, უკანონო ნაგავსაყრელების გაუქმება და თანამედროვე განთავსების ადგილების შექმნა; შეგროვებული ნარჩენების გაუვნებლობა და გადამუშავება.

ამოცანა 2.5.

რეგიონში გზების გარე განათების ქსელებით უზრუნველყოფა და მათი მომსახურება; შესაძლებლობის შემთხვევაში ამ ქსელების ელექტროენერგიით მომარაგება ენერგიის განახლებადი წყაროებიდან მიღებული ელექტროენერგიით.

ამოცანა 2.6.

რეგიონში არსებული თვითმმართველი ქალაქებისა და თვითმმართველი თემების მოსახლეობისათვის რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მომსახურების გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტებს შორის სატრანსპორტო გადაზიდვების მომსახურების ორგანიზების ხელშეწყობა.

ამოცანა 2.7.

რეგიონში არსებული საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების თანამედროვე სატრანსპორტო კვანძების შექმნა, საიდანაც შესაძლებელი იქნება შესაბამისი სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება.

ამოცანა 2.8.

სამგზავრო გადაყვანებისას რეგიონში ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო სახეობებით მომსახურების განვითარება.

ამოცანა 2.9.

ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მოწესრიგება.

ამოცანა 2.10.

სახანძრო-სამაშველო სამსახურების აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად; მათი ოპტიმალური განთავსება მუნიციპალიტეტებისა და რეგიონის ტერიტორიაზე და მათ შორის კოორდინაციის გაუმჯობესება; სახანძრო-სამაშველო სამსახურებში დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლება.

ამოცანა 2.11.

რეგიონის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის (მ.შ. ხიდები, გვირაბები, ტროტუარები) გაუმჯობესება და ახლის მშენებლობა.

ამოცანა 2.12.

რეგიონში საგზაო-საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება: გზებზე მოძრაობის მიმართულებების, ქუჩების სახელდებისა და ნუმერაციის ნიშნების დამონტაჟება; ტრანსპორტის ოფიციალურ გაჩერებებზე ტრანსპორტის მოძრაობის დაფების მოწყობა.

ამოცანა 2.13.

რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების მოვლა-პატრონობა, გამწვანება და განვითარება.

ამოცანა 2.14.

რეგიონის დასახლებების სტაბილური, მაღალი სიჩქარის ინტერნეტით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

ამოცანა 2.15.

სასაფლაოების მოწყობა, მოვლა-პატრონობა და სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფა.

ამოცანა 2.16.

შინაური ცხოველების ყოლისა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

ამოცანა 2.17.

მესაკუთრეების დახმარება შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და გარემოს მოვლა-პატრონობასა და განვითარებაში.

პრიორიტეტი 2. ჯანსაღი და სოციალურად განვითარებული საზოგადოება

მიზანი 3. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სრულყოფა

ამოცანა 3.1.

რეგიონში თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო ობიექტების მშენებლობა და არსებული სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ამოცანა 3.2.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება.

ამოცანა 3.3.

ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.4.

მოსახლეობის მიერ ხარისხიანი სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ამოცანა 3.5.

სოციალურად დაუცველი ოჯახების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების განხორციელება და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ფინანსური დახმარება.

ამოცანა 3.6.

ეფექტიანი და სამართლიანი განაწილების პრინციპებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამების შექმნა და განვითარება.

ამოცანა 3.7.

მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის სოციალური სახლების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.8.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისა და საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩენილი სხვა პირების საცხოვრებელი ფართითა და თავშესაფრით უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.9.

სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა.

ამოცანა 3.10.

დასაქმებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდისაკენ მიმართული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა.

მიზანი 4. განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარება

ამოცანა 4.1.

საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.

ამოცანა 4.2.

ადგილობრივ საჭიროებათა გათვალისწინებით რეგიონში მრავალპროფილიანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა; არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია, საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელების განვითარება, სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა, მაღალი ხარისხის პროგრამების შეთავაზება და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ამოცანა 4.3.

რეგიონის მაცხოვრებლების პროფესიული უნარების განვითარება და ახალი პროფესიების დაუფლების ხელშეწყობა მომზადება-გადამზადების სისტემური მექანიზმების ამოქმედებით.

ამოცანა 4.4.

ტალანტების გამოვლენა, მათი რეგიონში შენარჩუნება და რეგიონის გარედან მათი მოზიდვა.

ამოცანა 4.5.

რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების განვითარებისთვის დამხმარე საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა.

ამოცანა 4.6.

არაფორმალური სწავლების მიდგომების დანერგვა.

ამოცანა 4.7.

რეგიონის კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის რეაბილიტაცია.

ამოცანა 4.8.

რეგიონის ყველა ასაკის და სოციალური ჯგუფის მაცხოვრებლებისათვის თანაბარი პირობების შექმნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრებისთვის.

ამოცანა 4.9.

რეგიონის წარმატებული სპორტსმენების, სპორტული კლუბებისა და გუნდების მხარდაჭერა.

ამოცანა 4.10.

პროფესიულ სპორტსმენებად ჩამოყალიბების მსურველთა მხარდაჭერა.

ამოცანა 4.11.

იმერეთში სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

ამოცანა 4.12.

იმერეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა და განვითარება.

ამოცანა 4.13.

კულტურის სხვადასხვა დარგების განვითარება, კულტურის სფეროში მოღვაწეთა და საქმიანობის მსურველთა მხარდაჭერა.

მიზანი 5. რეგიონის მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ინტეგრაცია რეგიონის განვითარებაში

ამოცანა 5.1.

რეგიონში საცხოვრებლად ჩამოსულთა ინტეგრაცია იმერეთის რეგიონის იდენტობის შესანარჩუნებლად.

ამოცანა 5.2.

დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედითი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ამოცანა 5.3.

ახალგაზრდების ჩართვა რეგიონის განვითარების საკითხებში; ახალგაზრდობის განვითარების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

ამოცანა 5.4.

სხვადასხვა მოწყვლადი სოციალური ჯგუფების (შშმპ, დევნილები, ხანდაზმული მოსახლეობა, ეროვნული უმცირესობები და ა.შ.) ინტეგრირება რეგიონის ცხოვრებაში.

ამოცანა 5.5.

შშმ პირებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და თავისუფლად გადაადგილების პირობების შექმნა.

ამოცანა 5.6.

იმერეთში სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერება მოსახლეობის ურთიერთანამშრომლობისა და მათი რეგიონის ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდაში.

ამოცანა 5.7.

გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

მიზანი 6. ეკოლოგიურად სუფთა, უსაფრთხო და მდგრადი გარემოს განვითარება

ამოცანა 6.1.

ბუნებრივი კატასტროფების რისკების, სტიქიური ჰიდრომეტეროლოგიური და გეოლოგიური პროცესების საფრთხისა და ავარიული სიტუაციების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავება და განსაკუთრებით მოწყვლადი ტერიტორიების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება.

ამოცანა 6.2.

კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის საადაპტაციო ღონისძიებების გეგმის სრულყოფა და განხორციელება.

ამოცანა 6.3.

წყლის, ჰაერის და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის პუნქტებისა და ლაბორატორიების ინსტალაცია; წყლის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურებასთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება და მონიტორინგის რეგულარული ჩატარება.

ამოცანა 6.4.

მდინარეების ნაპირსამაგრი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება.

ამოცანა 6.5.

რეგიონის ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესება და ქარსაცავი ზოლების აღდგენა.

ამოცანა 6.6.

გარემოს დაცვის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლება.

ამოცანა 6.7.

რეგიონში ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება.

ამოცანა 6.8.

რეგიონის წყლის რესურსების, მათ შორის მინერალური და სხვა წყლების გამოყენების, დაცვისა და მართვისკენ მიმართული ღონისძიებების ხელშეწყობა.

ამოცანა 6.9.

ენერგიის ეკონომიურად ხარჯვისა და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად რეგიონში ენერგოეფექტური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.

ამოცანა 6.10.

ნიადაგის დეგრადაციის შემცირების მიზნით საძოვრების მართვის გეგმის შემუშავება და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა.

პრიორიტეტი 3. იმერეთი - ადგილი მეწარმეებისთვის

მიზანი 7. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და ინოვაციების დანერგვა

ამოცანა 7.1.

იმერეთის რეგიონში არსებულ (განსაკუთრებით არაწიაღისეულ) ადგილობრივი რესურსებისა და ნედლეულის გადამუშავებაზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარება.

ამოცანა 7.2.

ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა ბაზრების კვლევით, ახალი ბაზრების მოძიებითა და ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობის ამაღლებით.

ამოცანა 7.3.

რეგიონის გადამამუშავებელ მრეწველობაში არსებული პოტენციალის გამოყენების ხელშეწყობა.

ამოცანა 7.4.

მძიმე მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 7.5.

ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა და სავაჭრო-პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების მხარდაჭერა.

ამოცანა 7.6.

რეგიონში არსებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონების პოტენციალის გამოყენება რეგიონში მეწარმეობის განვითარებისა და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ამოცანა 7.7.

რეგიონის ენერგეტიკული ბაზის განვითარება, მ.შ. მცირე ჰესების მშენებლობის მხარდაჭერა; ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების ხელშეწყობა.

ამოცანა 7.8.

ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების ტრანსფერისა და დანერგვის მხარდაჭერა.

ამოცანა 7.9.

ინოვაციური სტარტაპების მხარდაჭერა.

<u>**მიზანი 8. მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა**</u>

ამოცანა 8.1.

მეწარმეობის იდეის პოპულარიზაცია და მეწარმეობის მსურველთა მხარდამჭერი პროექტების განხორციელება.

ამოცანა 8.2.

ახალი ბიზნესის შექმნისა და არსებულის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მხარდამჭერი პროექტების განხორციელება.

ამოცანა 8.3.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა.

ამოცანა 8.4.

იმერეთის რეგიონის გადაქცევა ახალ ტექნოლოგიებზე, ინტელექტსა და ცოდნაზე დაფუძნებული კრეატიული ბიზნესების ცენტრად.

ამოცანა 8.5.

საინფორმაციო პაკეტების მომზადება რეგიონის ბაზრებისა და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ; მათი გავრცელება ვებგვერდით, გამოფენებსა და ბიზნეს ფორუმებში მონაწილეობით.

ამოცანა 8.6.

რეგიონში ლოჯისტიკური სერვისებისა და ცენტრების განვითარება.

ამოცანა 8.7.

საავტომობილო გზების გასწვრივ მოქმედ მცირე მეწარმეებზე რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნით მათთვის დახმარების გაწევა ახალი შესაძლებლობების გამოყენებაში.

პრიორიტეტი 4. სოფლის კატეგორიის დასახლებებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება

<u>**მიზანი 9. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**</u>

ამოცანა 9.1.

სამელიორაციო სისტემების გაუმჯობესება და სადრენაჟო ქსელების რეაბილიტაცია.

ამოცანა 9.2.

სავარგულებთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია.

ამოცანა 9.3.

ექსტენციისა და მომსახურების ცენტრების, საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთების, რეგიონისათვის საჭირო ტექნიკით აღჭურვილი მექანიზაციის ცენტრების განვითარება.

ამოცანა 9.4.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიმღები, გამანაწილებელი და გადამამუშავებელი ცენტრების ორგანიზება.

ამოცანა 9.5.

სანერგე და სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 9.6.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთათვის, მათ შორის, ფერმერთათვის ტრენინგების ჩატარება და საკონსულტაციო ცენტრების შექმნა.

ამოცანა 9.7.

ნიადაგის და წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესამოწმებლად ლაბორატორიების მომსახურების ხელმისაწვდომობა.

<u>მიზანი 10. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების და პროდუქტიულობის გაზრდა</u>

ამოცანა 10.1.

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და წარმოებული პროდუქციის ატლასის მომზადება.

ამოცანა 10.2.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანის ქსელების შექმნა.

ამოცანა 10.3.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროდუქტიულობის გასაზრდელად საჭირო ინვესტიციების შეფასება და მათი განხორციელება.

ამოცანა 10.4.

რეგიონისთვის დამახასიათებელი ბრენდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პოპულარიზაცია; მაღალპროდუქტიული ჯიშების წარმოებისა და ექსპორტის ხელშეწყობა.

ამოცანა 10.5.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ჯაჭვის შექმნა.

ამოცანა 10.6.

რეგიონის სოფლის განვითარებაზე მიმართული არსებული და მოსალოდნელი ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამებისა და ფონდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება რეგიონის ფერმერებისათვის.

ამოცანა 10.7.

იმერეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დივერსიფიცირება საქართველოს განვითარების, ევროპასთან ინტეგრაციისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით.

ამოცანა 10.8.

სოფლის მეურნეობის სფეროში ინოვაციური მიდგომების იმპორტისა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის ხელშეწყობა.

ამოცანა 10.9.

ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.

ამოცანა 10.10.

მიწის მფლობელთა შორის კოოპერაციის დანერგვა–განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 10.11.

მხარდამჭერი სადაზღვევო, ფინანსური და სხვა სახის პროგრამების განვითარება.

ამოცანა 10.12.

ნიადაგის—ნაყოფიერების გაზრდა, დაზიანებული სახოფლო-სამეურნეო ტერიტორიების აღდგენა და პროფილაქტიკის ღონისძიებების გატარება.

<u>მიზანი 11. სასოფლო კატეგორიის დასახლებების განვითარება</u>

ამოცანა 11.1.

იმერეთის რეგიონის სოფლებში საოჯახო მეურნეობების საქმიანობისა და მათი საჭიროებების შესწავლა.

ამოცანა 11.2.

რეგიონის სოფლების კავშირების გაძლიერება ქალაქებთან და მათთვის საჭირო, ხარისხიანი მომსახურების ადგილზე მიწოდება.

ამოცანა 11.3.

რეგიონის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 11.4.

რეგიონის სოფლებში არსებული საქმიანობების დივერსიფიკაცია, რათა მაცხოვრებლებს ჰქონდეთ შემოსავლების სხვადასხვა წყაროებიდან მიღების შესაძლებლობა.

ამოცანა 11.5.

მიწების რეგისტრაციის დასრულება.

ამოცანა 11.6.

საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება იმერეთის სოფლებში და მათი იდენტობის შენარჩუნება.

ამოცანა 11.7.

საზოგადოების გააქტიურება სოფლების განვითარებაში ჩასართავად.

პრიორიტეტი 5. იმერეთი - საქართველოს დასავლეთის ტურისტული ჰაბი

<u>მიზანი 12. იმერეთის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურისტების მომსახურების დონის ამაღლება</u>

ამოცანა 12.1.

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან, რეგიონისა და საქართველოს სხვა ტურისტულ ცენტრებთან, ღირსშესანიშნაობებთან დამაკავშირებელი საავტობუსო მარშრუტების ამოქმედება და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით (ავტობუსი, ავტომანქანა, ველოსიპედი, ა.შ.) მიღწევადობის გაუმჯობესება.

ამოცანა 12.2.

რეგიონის ქალაქებისა და სოფლების გზებზე და მაგისტრალებზე ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების, ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი საგზაო ნიშნების, საინფორმაციო დაფების, ტრანსპორტის გაჩერებებზე კი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის აღმნიშვნელი მინიმუმ ორენოვანი ფირნიშების და აბრების დამონტაჟება.

ამოცანა 12.3.

ტურიზმის სხვადასხვა სახეობებისათვის (მონადირეების, მეთევზეების, კემპინგები და ა.შ.) საჭირო ინფრასტრუქტურის (საპირფარეშოები, მანქანების პარკირების ადგილები და ა.შ.) განვითარება.

ამოცანა 12.4.

ტურისტული ინფორმაციის გავრცელების წერტილების შექმნა ყველა ტურისტულ ღირშესანიშნაობასთან, გაჩერების ადგილებთან, სატრანსპორტო კვანძთან და ა.შ.

ამოცანა 12.5.

იმერეთის რეგიონის განვითარებით დაინტერესებულ და ტურისტულ სექტორში მოქმედ ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება.

ამოცანა 12.6.

ტურისტული კლასტერის შექმნა და განვითარება.

ამოცანა 12.7.

განთავსების ადგილების და კვების ობიექტების რაოდენობის გაზრდისა და მათი მომსახურებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ამოცანა 12.8.

ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

ამოცანა 12.9.

რეგიონის ტურისტული ღირსშესანიშნაობების და ტურისტული ობიექტების, ასევე, ტურისტული შესაძლებლობების განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავება.

ამოცანა 12.10.

ტურიზმის სექტორში დასაქმების პერსპექტივებისა და რეგიონის შესაძლებლობების შეფასება; დასაქმებული პერსონალის მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა.

ამოცანა 12.11.

ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების, მენეჯერებისა და პერსონალის, ტურისტულ სექტორში არსებული ბიზნესების საუკეთესო მაგალითების იდენტიფიცირება და წარმოჩენა.

ამოცანა 12.12.

ტურისტული შესაძლებლობების შემფასებელ რეიტინგებში მონაწილეობა.

ამოცანა 12.13.

ტურიზმის განვითარების მხარდამჭერი რეგიონული და მუნიციპალური პროექტების განხორციელება; ეროვნულ და საერთაშორისო პროგრამებში ტურიზმის სექტორის ადგილობრივი წარმომადგენლების მონაწილეობის მხარდაჭერა.

მიზანი 13. ტურისტული პროდუქტების შექმნა და იმერეთის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაცია

ამოცანა 13.1.

რეგიონის ტურისტული ღირშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტ-რესურსების, ტურისტული რუკების, გზამკვლევების, ტურისტული მარშრუტების, მობილური აპლიკაციების, ხმოვანი გიდების, სარეკლამო რგოლების და სხვა საინფორმაციო პროდუქტების მომზადება სხვადასხვა ენაზე.

ამოცანა 13.2.

საინფორმაციო კამპანიის განხორციელება იმერეთის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ იმ ქალაქებში, სადაც ხორციელდება ფრენები დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან; სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მონაწილეობა რეგიონისთვის მნიშვნელოვან გამოფენებში.

ამოცანა 13.3.

ტურ-ოპერატორების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და პოტენციური ვიზიტორებისათვის იმერეთის რეგიონის ტურისტული შესალებლობების გაცნობა.

ამოცანა 13.4.

სხვადასხვა სახის და მასშტაბის სპორტული შეჯიბრებების, ფოლკლორული ფესტივალებისა და მუნიციპალიტეტების ღირსშესანიშნავ დღეებზე ღონისძიებების ჩატარების მხარდაჭერა.

ამოცანა 13.5.

კულტურული, სათავგადასავლო, სამკურნალო, რელიგიური, სასოფლო, ეკო, სპორტული და სხვა ტურისტული მარშრუტების ორგანიზების ხელშეწყობა, ტურისტული მარშრუტების შექმნა.

ამოცანა 13.6.

ადგილობრივი ტრადიციული ნაწარმისა და სუვენირების წარმოებისა და გაყიდვების რეგიონული ქსელის განვითარება; მათი წარმოებისას ტრადიციისა და თანამედროვე მოთხოვნების შერწყმა.

ამოცანა 13.7.

კეთილმოწყობილი კემპინგის პუნქტების რეგიონული ქსელის შექმნის ხელშეწყობა.

პრიორიტეტი 6. რეგიონთაშორისი, ტრანსსასაზღვრო და საერთაშორისო ურთიერთობები

მიზანი 14. იმერეთის თანამშრომლობის გაძლიერება საქართველოს რეგიონებთან და კავშირების გაუმჯობესება საერთაშორისო დონეზე

ამოცანა 14.1.

რეგიონის მოსახლეობისა და ბიზნესის მომსახურების გაუმჯობესება მეზობელ და საქართველოს სხვა რეგიონებთან თანამშრომლობით.

ამოცანა 14.2.

რეგიონის შესაძლებლობების გამოსაყენებლად საქართველოს რეგიონებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება სხვადასხვა სფეროში.

ამოცანა 14.3.

რეგიონის მომზადება ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების, ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შედეგად წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობების და გამოწვევების გამოყენების მიზნით.

ამოცანა 14.4.

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ფრენების რაოდენობის გაზრდა; რკინიგზისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით რეგიონში ჩასულთა რაოდენობის—გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა.

ამოცანა 14.5.

იმერეთში სამუშაოდ, სასწავლებლად და სხვა მიზნით ჩასული უცხოელი ვიზიტორებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

ამოცანა 14.6.

რეგიონის ბრენდ-კოდის შექმნა საერთაშორისო დონეზე კომუნიკაციისათვის.

ამოცანა 14.7.

რეგიონის შესახებ მრავალენოვანი ინფორმაციის მომზადება და გავრცელება სხვადასხვა წყაროებით.

ამოცანა 14.8.

სხვადასხვა სფეროში სპეციალური პროგრამების განხორციელება საქართველოში მცხოვრებ უცხოელებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

ამოცანა 14.9.

სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისა და რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების გააქტიურება საერთაშორისო ქსელებში; რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის გაფართოება საერთაშორისო პარტნიორებთან და მათთან ერთად ერთობლივი პროექტების განხორციელება.